ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 16 სექტემბერი 2004 №215 (2236) ფასი 50 თეთრი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ქართული ანდაზის დღე
ფრისას თავი გაუტყდა...

REUTERS რომიდან

რომა — დინამო არ დამთავრებულა: მსაჯ ანდერს ფრისს მაყურებლისგან ნასროლმა საგანმა თავი გაუტეხა

რეალს სახელი

დღეს ვისლა — დინამოა
ერთი პროგნოზი ცნობილია: წვიმა იქნება



VS



ჰენრიკ კასპერჩაკი

„დინამო“ „ვიტ ჯორჯია“ არ არის. ჩვენ ვიცით, ვისთან გვაქვს საქმე და როგორ უნდა ვითამაშოთ



გია გეგუჩაძე

ჩვენ ვიცით, რა გუნდს ვეთამაშებით, მაგრამ ისიც ვიცით, თუ თავს დავდებთ, გავიმარჯვებთ

კობა ინასარიძის კრაკოვული რეპორტაჟი იხილეთ მე-2 გვერდზე

გურგენ ფოლადაშვილის ფოტო

მაკედონია 81:77 საქართველო

გუნდი, ქამიკო, გუნდი
ბიჭი არის, ნიჭი არის, თამაში არ არის

მოგებული არადა, მოსაგები თამაში კი წააგო საქართველოს ნაკრებმა მაკედონიაში. სკოპიეში ნბა-ელებით და ევროლიგელებით ჩასულ ბრაიკოვიჩის გუნდს იქაურებმა ნაკრებში თამაშზე ძლივსდაყოლიებული ერთი მოუქნელი ზანგი, „რაბოტნიჩკის“ მოთამაშეები და ისეთი დარბაზი დაახვედრეს, ჩვენი „ვერის ბაღი“ „მედისონ სკვერ გარდენად“ გამოჩნდებოდა, მაგრამ ქართული უკიდეგანო ამბიციის დასაცხრომად ესეც საკმარისი გამოდგა.

რა აზრი აქვს ჩვენი ვარსკვლავების ჩამოთვლას და, მით უმეტეს, ნათელ მომავალზე ოცნებას, თუ მაკედონიელებისგანაც კი მიტოვებული მაკედონია ვერ დაგვიმარცხებია. ევროპის ჩემპიონატზე თამაში გვინდა და ის ვერ მოგვიხერხებია, მეტოქეს 40 წუთში ლამის 40 სამქულიანი არ ვასროლინოთ და 40-ჯერ არ დავკარგოთ ბურთი. გუშინ საქართველომ ერთ მდარე გუნდთან ყოვლად გაუმართებლად გაფლანგა დრო და ნიჭი.

წავა ახლა დრაჟენ ბრაიკოვიჩის გუნდი და ლუქსემბურგს 30 ქულას მოუგებს...

ძოგა ინასარიძე
კრაკოვიდან

„დინამო“ „ვიტ ჯორჯია“ არ არის. ჩვენ ვიცით, ვისთან გვაქვს საქმე და როგორ უნდა ვითამაშოთ — ამ სიტყვებით დაიწყო პრესკონფერენცია „ვისლას“ თავკაცმა ჰენრიკ კასპერჩაკმა.

ჩვენ ვიცით, რა გუნდს ვეთამაშებით, მაგრამ ისიც ვიცით, თუ თავს დავდებთ, გავიმარჯვებთ — ეს უკვე დინამოელთა მწვრთნელის გია გეგუჩაძის სიტყვებია.

გუშინ დღევანდელ მეტოქეთა მწვრთნელებმა რიგრიგობით გამართეს პრესკონფერენცია „ჯორდანს პარკის“ პრეს-დარბაზში. აქაურ ჟურნალისტთა ყურადღება დღევანდელ მატჩს არ აკლია. ზოგადი შთაბეჭდილება ისეთია, რომ ჩვენმა პოლონელმა კოლეგებმაც კი კარგად იციან, რომ „დინამო“ „ვიტ ჯორჯია“ არ არის. მაგალითად, კასპერჩაკის პრესკონფერენციის დაწყებამდე ერთ-ერთი პოპულარული გაზეთის „პოლსკი ჟურნალის“ მიმომხილველმა *ირჟი სასოვსკიმ* ძველი ქართველი ვარსკვლავებიც კი ჩამოასახელა: მესხი, მეტრეველი, ასათიანი, ყიფიანი, გუცაევი, ხურცილავა...

— მე ძალიან კარგად ვიცი, რომ ხურცილავა და ჩივაძე საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტნები იყვნენ. ისიც ვიცი, ქართველები რუსების მიმართ არცთუ კეთილგანწყობილები რომ ხართ და 15-20 წლის წინ ქართველები და სხვა რესპუბლიკები ერთ ქვაბში იხარშებოდით. ეს საბჭოთა კავშირი იყო. მახსოვს 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი და ასათიანის თამაში. მე მოხიბლული ვიყავი, იმედი მაქვს, ხვალაც ასეთ ლამაზ ფეხბურთს ვნახავ — პოლონელ კოლეგასთან საუბარი დარბაზში „ვისლას“ მთავარი მწვრთნელის *ჰენრიკ კასპერჩაკის* შემოსვლამ შემაწყვეტინა...

კრაკოველთა თავკაცს დიდხანს არ ულაპარაკია და კითხვებიც ძირითადად ქართველი ჟურნალისტებისგან მიიღო, რაზეც აქაურ ჟურნალისტებს უსაყვედურა კიდეც ქართველებმა გაჯობესო...





გადრი ჯეიოლაძის ფოტოები

ჰენრიკ კასპერჩაკი გია გეგუჩაძის „დინამოსთან“ ძალიან ფრთხილობს

უეფას თასი 2004-2005

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

კრაკოვი. 16 სექტემბერი. 19 საათი. ჯორდანს პარკი

ვისლა — დინამო

ვისლა დინამოს და ოცნებას ეთამაშება

— ძალიან მწყინს, „ვისლა“ „რეალთან“ რომ დამარცხდა. არადა, ცოტა იღბალი რომ გვქონოდა, ვერ ვიტყვი, „რეალს“ დავამარცხებდითმეთქი, მაგრამ ერთი-ორი გოლი კი უნდა გაგვეტანა. ჩვენ მართლაც კარგად ვითამაშეთ მსოფლიოს საუკეთესო გუნდთან.

...ღღეს თავსხმაა, სინოპტიკოსების პროგნოზით, ხვალ ამაზე უარესი წვიმა იქნება. მაგრამ ფეხბურთელს წვიმამ ხელი არ უნდა შეუშალოს. ნამდვილი ფეხბურთელი საუკეთესო თვისებებს ასეთ ამინდშიც გამოავლენს. ჩვენ პროფესიონალები ვართ და ეს მოედანზე უნდა ვაჩვენოთ.

...ვნახე „სლავია“ — „დინამოს“ მატჩის ფირი. „დინამო“ ტექნიკური გუნდია, ორგანიზებული და ვიტყვი, რომ ძალიან გაგვიჭირდება თბილისელების დამარცხება, სტუმართა ნაკლზე საუბარი კი არაკორექტულად მიმაჩნია.

...მე „დინამოს“ „რეალს“, რა თქმა უნდა, ვერ შევადარებ. ჩვენ ხვალინდელი მატჩის წინ არ ვართ ისეთი ფავორიტები, როგორიც „რეალი“ იყო ჩვენთან. ერთხელაც ვიტყვი: ჩვენ ძალიან მძიმე მატჩისთვის ვემზადებით.

სხვათა შორის, სიტყვამ „რეალი“ მოიტანა და, მადრიდელებთან აქაურ მატჩზე ბილეთი 70 დოლარი ღირდა. „ვისლას“ პრეზიდენტმა ტადეუშ ჩერვინსკიმ ბევრი იფიქრა თუ ცოტა, ამ მატჩის ქალაქ ხოჟუვში გამართვაც იფიქრა, მაგრამ პრეზიდენტს წინ გუნდი აღუდგა, „რეალს“ მხოლოდ კრაკოვში თუ ვუმასპინძლებთო. ჩერვინსკის ფიქრი კი ბიზნესთან იყო დაკავშირებული — ხოჟუვში ბილეთები თურმე 110 დოლარადაც გაიყიდებოდა, თანაც გაცილებით მეტი რაოდენობით, ხოჟუვის სტადიონი 50 ათასს იტევს და იმიტომ.

დღევანდელ მატჩზე კი პოლონელები სტადიონის მთლიანად შევსებას ელიან, ვინაიდან 9 000 აბონემენტი სეზონის დაწყებამდე გაიყიდა, ათასი ბილეთი კი გუშინ და გუშინწინ შეიძინეს ქომაგებმა.

„ვისლა“ ღღეს განსაკუთრებული მოტივაციით გამოვა მოედანზე. საქმე ისაა, რომ ჩემპიონთა ლიგის ძირითად ბადეში მოსახვედრად კრაკოველებს სულ 6 საკოეფიციენტო ქულა აკლიათ, რასაც „დინამოს“ დამარცხება და უეფას ჯგუფურ ეტაპზე თამაში მოუტანთ. კრაკოველები ძალიან ნაღვლობენ 1998 წლის ნოემბერში ამავე სტადიონზე მომხდარ ინციდენტს. საქართველო — ირლანდიის სანაკრებო მატჩისა არ იყოს, მავან თავქარიანს ტრიბუნიდან გაშლილი დანა უსვრია და იტალიური „პარმას“ დინო ბაჯოსთვის თავში მოურტყამს, რისთვისაც „ვისლა“ უეფასგან ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. სწორედ ამ ერთი წლის ქულები დააკლდათ კრაკოველებს, რათა წლეულს უკვე ლიგაში ეთამაშათ. მოკლედ, „ვისლასთვის“ ჩემპიონთა ლიგა და ჯგუფური ეტაპი დიადი მიზანია.

მიხაილ ბიალონსკი, გაზეთი „ვიბორჩა“ — ქართულ ფეხბურთში ასევე კარგად ჩახედული ჩვენი კოლეგა ამბობს:

— „ვისლას“ ბიუჯეტი წელიწადში 6 მილიონი ევროა. ამის ნახევარი აქვს პოლონეთის მეორე უმდიდრეს კლუბ „გროცლინს“. „ვისლას“ პოლონეთში ტოლ-სწორი მეტოქე არ ჰყავს. 5 მატჩი, 5 მოგება, 21 გატანილი და 1 მიღებული ბურთი, 15 ქულა — გამოდის, რომ „ვისლა“ პოლონეთში დღესდღეობით მართლა უძლიერესი გუნდია.

ისე ჩანს, პოლონელებს სტატისტიკა ძალიან ჰყვარებიათ. აგერ, ორი კვირის წინ არ იყო „ლეგია“ — „თბილისის“ მატჩისწინა შედარებები, როცა ვარშაველებმა „ლეგიასა“ და „თბილისის“ ყველა მონაცემი დათვალეს და გამოვიდა, რომ მასპინძლები სტუმრებს ყველანაირად აღემატებოდნენ.

ახლა უკვე სხვა საქმეა, კრაკოვს „დინამო“ ესტუმრა, თბილისის „დინამო“. მიუხედავად იმისა, რომ „ვისლას“ სტადიონზე კლუბის მიერ მოპოვებული უამრავი პრიზ-სიგელია გამოფენილი, მათგან არც ერთია საერთაშორისო და ამიტომაც მასპინძლები მაქსიმალურად ერიდებიან „ვისლასა“ და „დინამოს“ სტატისტიკურ შედარებას...

მატჩის ოფციალური დროთ, 5 საათზე თბილისის „დინამო“ „ჯორდანს-პარკზე“ საგარჯიშოდ გაგდა ერთი შენიშვნა: ამ შოედანზე ორი-სამი კვირის წინ თვით ზინედინ ზიდანმა ითამაშა. მატჩის შემდეგ მისთვის უკითხავთ, მოედნის საფარი როგორიაო. ზიდანის პასუხი ასეთი ყოფილა: ასეთ რბილ გაზონზე ცხოვრებაში არ მითამაშია. იმედი ვიქონიოთ, მიხაილ ბიალონსკი არ აჭარბებს.

„დინამოს“ ვარჯიშამდე კი პრესკონფერენცია *გია გეგუჩაძემ* გამართა:

— განწყობა ძალიან კარგია. სერიოზულად მოვემზადეთ, შემადგენლობას კი ხვალ დავასახელებ.

— ვიცით, რომ „ვისლა“ ძალიან კარგი გუნდია, ყველა რგოლში დაბალანსებული. ტექნიკური გუნდი უფროა, ვიდრე ძალისმიერი.

— ორივე გუნდი ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობს და წვიმა მცირე კორექტივებს კი შეიტანს, მაგრამ ასეთ იდეალურ მოედანზე ყველაფერი უნდა დაივიწყო და ფეხბურთი ითამაშო.

...მე მხოლოდ მოგებისთვის ვემზადები. „რეალი“ რომ არა, დარწმუნებული ვარ, „ვისლა“ ახლა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში იქნებოდა.

...ამბობენ, რომ „ვისლას“ შეტევა აშკარად სჯობს დაცვას, მაგრამ ამას ვერ დავეთანხმები. მაგალითად, მცველი ბარშინსკი ხშირად ერთვება შეტევაში და ძალიან სახიფათოა. ანუ დაცვა სუსტი სულაც არაა.

ამასობაში „ვისლამ“ „ჯორდანს პარკის“ სათადარიგო მოედანზე ივარჯიშა, მეც დრო ვიხელთე და *მაცეი ჟურავსკის* გამოველაპარაკე:

„დინამო“ ძალიან სერიოზული მეტოქეა. შიშით, ცხადია, არ გვეშინია, მაგრამ ფრთხილად ვართ. „სლავია“ — „დინამოს“ ფირი ვნახე და კაკალაძე ძალიან მომეწონა. ჩვენი მარჯვენაფლანგელები ფრთხილად უნდა იყვნენ. პროგნოზი არ მინდა, მაგრამ ძალიან კმაყოფილი ვიქნები, თუ მოვიგებთ და გოლს არ გავუშვებთ.

ბოლოს ერთიც: „ვისლა“ — „დინამოს“ ქართველი გულშემატკივარი 19 საათზე ტელეკომპანია „იმედის“ საშულებით ნახავს.

ზინედინ ზიდანს კრაკოველებისთვის მოედანი შეუქია



გადრი ჯეიოლაძის ფოტო

მაცეი ჟურავსკი

კრაკოვმა ლოკომოტივი ერთი დღით გადაწია

19 **სექტემბერს** გასამართი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეშვიდე ტურის „დინამო“ — „ლოკომოტივი“ 20 სექტემბერს ჩატარდება — მატჩი ეროვნულ სტადიონზე 19 საათზე დაიწყება.

კალენდარში ცვლილება იმიტომ მოხდა, რომ ღღეს „დინამო“ კრაკოვში „ვისლას“ ეთამაშება და თბილისში დაბრუნებულ დინამოელებს ლოკომოტიველებთან სათამაშოდ ძალების სრულად აღდგენა სჭირდებათ.

დაინსარჯე თავშეკავებით

20 სექტემბერს ფინეთში დაიწყება 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფური ტურნირი. თამაზ კოსტავას გუნდის მეტოქეები ფინეთის, საბერძნეთისა და მაკედონიის ნაკრებები იქნებიან. ჯგუფის ორი საუკეთესო გუნდი ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად გააგრძელებს ბრძოლას. ჩვენები 18 სექტემბერს გაფრინდებიან მოსკოვს, საიდანაც მატარებლით ფინეთში, ქალაქ ლახტიში ჩავლენ, იქიდან კი ავტობუსით გაემგზავრებიან ქალაქ აანეკოსში, სადაც 20 სექტემბერს მაკედონიელ თანატოლებთან თამაშით დაიწყებენ ტურნირს. მომდევნო ორ მატჩს, 22 და 24 სექტემბერს, შესაბამისად, საბერძნეთის და ფინეთის ნაკრებებთან, ქართველები ქალაქ ივასკილაში გამართავენ. გუშინ 17-წლამდელთა მთავარ მწვრთნელს, თამაზ კოსტავას საფინეთო განწყობასა და გუნდის მზადყოფნაზე ველაპარაკეთ

ბადრი ჯიმშელაძის ფოტო

— ნაკრებში შექმნილი საერთო ვითარებით კმაყოფილი ვარ. თუმცა ერთ, უკვე კარგად ნაცნობ პრობლემას ვერც ამჯერად გადავურჩით. მოსამზადებლად საკმაოდ მცირე დრო გვქონდა. ფაქტობრივად, არასრულ ორ თვეში უნდა მოგვესწრო შეთამაშება, კომბინაციების დახვეწა, ფიზიკურად მოძლიერება, მოკლედ, გუნდის ჩამოყალიბება. ეს კი დროის ასეთ მცირე მონაკვეთში არ ხდება. ერთადერთი პოზიტიური მომენტი ისაა, რომ ამ ბავშვებთან ურთიერთობა კარგა ხანია მაქვს და ვიცნობ მათ ხასიათს და შესაძლებლობებს, რასაც ამ ასაკში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ბადრი ჯიმშელაძის ფოტო

17-წლამდელთა ნაკრებში ამერელი რატი წინამძღვრიშვილის გოლებს ელიან

— გუნდის ბირთვი ჩამოყალიბეთ?

— შესაძლოა, უმნიშვნელო ცვლილებები მოხდეს. ხვალ „ნორჩი დინამოელის“ გუნდს ვეთამაშებით. სპეციალურად ავირჩიე საშუალო დონის სპარინგი, თანაც ტრავმებსაც უნდა მოვერიდოთ. სწორედ ამ მატჩის შემდეგ ჩამოყალიბდება საბოლოოდ შემადგენლობა. ამჟამად შეკრებაზე 20 ფეხბურთელი გვყავს, 18 უნდა დარჩეს.

— თბილისურ შეკრებამდე გერმანიაში იყავით...

— გერმანული შეკრება ძალიან სასარგებლო იყო. იდეალურ პირობებში ვვარჯიშობდით და ვთამაშობდით. იქ გამართულ სამივე შეხვედრაში ჩვენმა ნაკრებმა მშვენივრად ითამაშა და გერმანიიდან კმაყოფილი დავბრუნდი, განსაკუთრებით ძლიერად „შალკეს“ და „დუისბურგის“ იუნიორთა გუნდებთან ვითამაშეთ. თბილისში დაბრუნებულებს კი ხელოვნურ საფარზე მოგვიწია ვარჯიშის გაგრძელებამ. პირობების ასეთი მკვეთრი ცვლილება საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა და გუნდის თამაშზეც აისახა. მართალია, აზერბაიჯანის ნაკრებს ორივე ამხანაგურ მატჩში ვძლიეთ, მაგრამ მთლიანობაში თამაშის ხარისხით უკმაყოფილო დავრჩი.

— ეგებ გერმანული სპარინგის შემდეგ ფეხბურთელებს აზერბაიჯანის ნაკრებზე გადმოწყობა გაუჭირდათ?

— არც ეგაა გამორიცხული, მაგრამ მე ბიჭებისგან პირველ რიგში საქმისადმი სწორ მიდგომას ვითხოვ. მათ ავუხსენი, რომ საქართველოს ნაკრები კლუბი არ არის და მისთვის სხვანაირი დახარჯვა და თავდადებაა საჭირო.

— აზერბაიჯანის ნაკრებთან მეორე ამხანაგურ მატჩში ორი ჩვენიანი გააძევეს, ეს ჩვენი ნაკრების ნაკლზე ხომ არ მიანიშნებს?

— სამწუხაროა, რომ ჩემს ბიჭებს საკმარისი გამოცდილება არა აქვთ. ნაკრებში სულ ხუთი-ექვსი ფეხბურთელია, რომლებიც შედარებით მაღალ დონეზე, ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში მაინც თამაშობენ, დანარჩენები კი რეგიონალლიგის მასშტაბებს ჯერაც ვერ გასცილებიან. რაც შეეხება გაძევებას, ბიჭები 21-წლამდელთა ნაკრებების თამაშზეც მყავდა და გეხსომებათ, ალბანეთთან ჩვენებს ორი ფეხბურთელი გაუძევეს. ამის შემდეგ თეორიულ მეცადინეობაზე ბიჭებს მკაცრად ველაპარაკე, ვუთხარი, რომ ეს გუნდის ღალატია და საკუთარ ემოციებს არ უნდა აჰყვნენ. მათ ჯერ არ იციან, როგორ ეთამაშებიან ევროპელები, რა პროვოკაციაზე წამოაგებენ, ამიტომ ყველაფრისთვის მზად უნდა იყვნენ. აზერბაიჯანის ნაკრებთან მატჩის შემდეგ თითოეულმა ფეხბურთელმა მომცა სიტყვა, რომ თავს მაქსიმალურად შეიკავებენ. ვნახოთ, ამის დიდი იმედი მაქვს.

— მეტოქეებზე რა იცით?

— ასაკობრივ ნაკრებებში მწვრთნელთა უმეტესობა თანაბარ მდგომარეობაში იმყოფება, 17-წლამდელთა ნაკრებებს თვითონთი სპეციფიკა აქვთ და იმატომ, თუმცა ფინეთში ტატისტიკად ნამდვილად არ მივემგზავრებით. თითოეულ მეტოქეზე გვაქვს წარმოდგენა, ყველაზე ნაკლებ ინფორმაციას მაკედონიის ნაკრებზე ვფლობთ.

— ნაკრების რომელ რგოლს გამოარჩევდით?

— ნახევარდაცვას, თუმცა მთლიანობაში გუნდურობის იმედი მაქვს. არც ფეხბურთელს გამოვარჩევ, ვინაიდან ამ ასაკში ეს საკმაოდ სარისკო საქმეა. ერთს გეტყვით, რომ ნაკრების კაპიტანი გიორგი განუგრავა იქნება, ხოლო ფეხბურთელებიდან „ამერის“ ფორვარდ რატი წინამძღვრიშვილზე ვამყარებ დიდ იმედს, ვის თამაშშიც ბოლო დროს დიდი პროგრესი იგრძნობა.

— ჯგუფიდან გასვლის შანსებს როგორ შეაფასებთ, მით უმეტეს, ევროპის ჩემპიონატის საგზურისთვის ბრძოლის უფლებას მეორე ადგილიც იძლევა...

— მე ჩემი ბიჭების იმედი მაქვს. ერთი ეგაა, რომ ევროპელები, თუნდაც ფინეთის ჩვენი ასაკის ნაკრები ავიღოთ, წელიწადში 20-25 თამაშს ატარებენ, ჩვენ კი ხუთიც რომ მოგვივროვდეს, ესეც საქმეა. ბუნებრივია, ფინეთში სასურველი შედეგისთვის მივდივართ. თანაც პირველ ადგილზე გასვლა შემდგომ ჯგუფურ ეტაპზე უფრო სუსტ მეტოქეებთან მოხვედრის საშუალებას იძლევა. მეორე ადგილის დაკავების შემთხვევაში კი ჩვენთან ჯგუფში შეიძლება მოხვდეს პორტუგალია, რომელიც 17-წლამდელთა ნაკრებებში ევროპაში ერთ-ერთ მოწინავედ ითვლება.

დავით ერაძე

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ოცეული, რომელთაგან ფინეთში 18 გაემგზავრება.

მეკარეები: რევაზ თევდორაძე (თბილისი), ნიკა ჯალაღონია (თბილისი)

მცველები: ირაკლი ფირანიშვილი (თბილისი), გიორგი მამნიაშვილი (დინამო 2), გიორგი ელბაქიძე (ამერი), ვანო ნასრაშვილი, გედევან დარასელია, არჩილ კობიაშვილი (სამივე თბილისი)

ნახევარმცველები: დავით მჭედლიშვილი, გიორგი ნიკოლაიშვილი, მირზა ბჟალავა (სამივე ამერი), ნუკრი გოგოხია (თბილისი), გიორგი განუგრავა (უგუნდო)

თავდამსხმელები: რატი წინამძღვრიშვილი (ამერი), ბექა გოცირიძე (უგუნდო), რევაზ ბარაბაძე (თბილისი), ვახტანგ კვარაცხელია (თბილისი)

ვაშაკიძე, ამოიტანე, ვაშაკიძე, გაიტანე
არისის მწვრთნელს ერთი ქართველი ორად ეჩვენება

ოლიმპიურმა თამაშებმა საბერძნეთის საფეხბურთო ცხოვრება მნიშვნელოვნად შეაფერხა. დაგვიანდა ჩემპიონატის დაწყება და ქვეყნის სტადიონები მხოლოდ 19 სექტემბრიდან ახმაურდება. ჩვენი ინტერესი კი გამორჩევით ერთი ბერძნული კლუბისადმი, „არისისადმი“ იქნება მიპყრობილი, სადაც ირაკლი ვაშაკიძე ითამაშებს.

14 სექტემბერს „არისს“ საბერძნეთის თასზე უნდა ეთამაშა, მაგრამ მომდევნო სათასო ეტაპს გუნდმა მოედანზე გაუსვლელად უწია. საქმეში უკეთ გასარკვევად გუშინ ირაკლის სალონიკში შევეხმიანეთ



— საქმეში ხეირიანად გარკვევა ჯერაც ვერ მოვახერხე. მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩვენს მეტოქეს, საბერძნეთის პირველი ლიგის კლუბს, მონაწილეობასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა და თამაში ვერ შეძლო. ასე გავედით შემდეგ ეტაპზე.

— ჩემპიონატის დაწყებასაც ხომ არ ემუქრება რაიმე საფრთხე?

— არა. როგორც დათქმული იყო, 19 სექტემბერს დაიწყება. ჩვენ პირველ მატჩს შინ გავმართავთ. ალბათ, ანშლაგი იქნება. „არისის“ ქომაგებს ფეხბურთი და თავიანთი გუნდი ძალიან მოენატრათ.

— რამდენად მზადაა „არისი“ ახალი სეზონისთვის?

— სრულფასოვან მზადყოფნაზე ლაპარაკიც ზედმეტია. შეთამაშებაც გვაკლია, ერთიანი გუნდის სახე ჯერ არ მიგვიღია. ვნახოთ, რა იქნება. საწყის ტურებში რომ ძალიან გაგვიჭირდება, აქედანვე ჩანს.

— არადა, თავიდან თითქოს უეფას თასის ზონაში მოხვედრას გეგმავდით...

— ამაზე კი ლაპარაკობდნენ, მაგრამ მერე ვერც სათანადოდ გავძლიერდით და, სიმართლე გითხრა, ვერც მწვრთნელი გვიხსნის ხეირიანად, რა უნდა.

— შენგან პირადად რას ითხოვს?

— რა ვიცი, მგონი, უნდა, ყველაფერი მე გავუკეთო. ბურთიც უნდა ამოვიტანო, შეტევაც დავიწყო და სტანდარტულების დროს გოლიც გავიტანო. როგორც ვატყობ, დატვირთვა არ მომაკლდება, მაგრამ ყველაფერი რაღაც ლოგიკას ხომ უნდა ექვემდებარებოდეს?!

— მოსამზადებელი ეტაპითაც უკმაყოფილო ხარ?

— მოსამზადებელი ნორმალურად გავიარეთ, თუმც აქცენტი მთლიანად გამძლეობაზე იყო. მოგვკლეს სირბილით. აგერ, ჩემპიონატიც დაიწყება და ის გასცემს ყველა კითხვას პასუხს.

დავით ერაძე

ნუ ავცუნდრუკდებით!

ლევან კობიაშვილი შუაში და სიღრმისკენ მიიწევს



გუშინ ლევან კობიაშვილის „შალკე“ უმთავარწვრთნელოდ დარჩა. გელზენკირხენული კლუბის თავკაცებმა იუპ ჰაინკესის მუშაობა უარყოფითად შეაფასეს და მწვრთნელს კარისკენ მიუთითეს. ასე დასრულდა ჰაინკესის და „შალკეს“ ორწლიანი თანამშრომლობა. მიუნხენის „ბაიერნის“, მიონხენგლადბახის „ბორუსიას“, ფრანკფურტის „აინტრახტის“, მადრიდის „რეალის“, ბილბაოს „ატლეტიკის“, „ტენერიფეს“ და ლისაბონის „ბენფიკას“ ყოფილმა თავკაცმა ვერ შეძლო, „შალკე“ ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალად ექცია და უმუშევართა სიას შეემატა.

ჩვენ კი, ცხადია, ლევან კობიაშვილის ბედი გვაღელვებს. საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ჰაინკესის „შალკეს“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო და ახალ მწვრთნელთან მისი ურთიერთობა ამადაცაა საინტერესო. თუმც, როგორც ლევანმა გუშინ გვითხრა, გუნდს ჯერჯერობით ჰაინკესის თანაშემწე ედი ახტერბერგი გაწვრთნის...

— დღეს დილით გამოგვიცხადეს, რომ ჰაინკესი გუნდიდან წავიდა. მეორე მწვრთნელმა უკვე ვარჯიშიც ჩაგვიტარა.

— ბუნებრივია, ჰაინკესს უსაზურ შედეგებს დაუწუნებდნენ...

— რა თქმა უნდა, შედეგით კმაყოფილი ვერავინ იქნებოდა და ალბათ ამიტომაც მოხსნეს. აბა, წარმატებით რომ გვეთამაშა და ქულები დაგვეგროვებინა, ვინ მოიფიქრებდა მის გაშვებას?! ახლა კი 4 თამაშში 3 ქულა გვაქვს, რაც „შალკესთვის“ ძალიან მცირეა. მით უმეტეს, ასეთი მაღალი დონის ფეხბურთელები გვყავს და დიდი მიზნებისთვის საბრძოლველად ყველანაირი პირობა არსებობს.

— აქა-იქ ითქვა, ჰაინკესს ფეხბურთელებთანაც არა აქვს კარგი ურთიერთობაო...

— ასეც იყო. რამდენიმესთან მართლა უჭირდა ურთიერთობა, განსაკუთრებით იმ ფეხბურთელებთან, რომლებიც სათადარიგოებად ითვლებოდნენ. მათი აზრით, ჰაინკესი შემადგენლობას არაობიექტურად აყენებდა. ამ ყველაფერმა კი კლუბის ხელმძღვანელობა აიძულა, მწვრთნელი გაეშვა.

— შემცვლელზე არაფერი თქმულა?

— ნაღდად არაფერი ვიცი. ჯერ რამდენიმე საათია, რაც ჰაინკესი გაუშვეს და ოფიციალურად არაფერი უთქვამთ. შეიძლება, ხელმძღვანელებმა უკვე დაიწყეს მოლაპარაკებები კანდიდატებთან, მაგრამ ფაქტია, უახლოეს ორ თამაშზე მეორე მწვრთნელი გაგვიყვანს.

— თავადაც თქვი, „შალკეს“ დიდი მიზნებისთვის ბრძოლა ევალება და საამისოდ ყველაფერი გვაქვსო. ამაში ვერავინ შეგედავება, მაგრამ... მაინც რა სჭირს ასეთი გუნდს?

— არ ვიცი... ფაქტია, რომ სამეულში მოხვედრა თავისუფლად შეგვიძლია, მაგრამ ჯერ აუტსაიდერობას ვერ ავცდით. მიზეზი დღემდე ვერ ვიპოვე. ახლა ვნახოთ, თუ ახალმა მწვრთნელმა შეძლო კრიზისის დაძლევა, ესე იგი, ყველაფერი ჰაინკესის ბრალი ყოფილა და თუ ვერაფერი გვიშველა, მაშინ მიზეზები სხვაგან იქნება საძებნი.

— შენ რას ფიქრობ ჰაინკესის მოხსნაზე?

— მე ეს ნაბიჯი ნაადრევი მგონია. მართალია, გუნდმა ვერა და ვერ ააწყო თამაში, მაგრამ მგონი, უკეთესი იქნებოდა, ჰაინკესისთვის დრო კიდევ მიეცათ. ახლა კი უფრო ცუდ მდგომარეობაში ვართ — გუნდი გუნდს არ ჰგავს და თან მწვრთნელიც არ გვყავს.

— შეიძლება უადგილო კითხვაა, მაგრამ კბილმა ძალიან გაგაწამა და ახლა როგორ ხარ?

— კარგად, უკვე აღარ მაწუხებს და მთელი დატვირთვით ვვარჯიშობ.

— კეთილი. ახლა ნაკრებზეც ვთქვათ. „შალკეში“ უკვე საყრდენ ნახევარმცველად ჩამოყალიბდი, ალენ ჟირესი კი მარცხენა ნახევარმცველად გათამაშებს. არ გიჭირს ასე ხშირად გადაწყობა?

— რა თქმა უნდა, კარგია, როცა კლუბშიც და ნაკრებშიც ერთ პოზიციაზე თამაშობ, მაგრამ ამის ასეთი ფუფუნება სად არის... მთელი ჩემი კარიერის მანძილზე ასე იყო — მიყოლებით ხუთი-ექვსი თამაში ერთ პოზიციაზე არ ჩამიტარებია, ამიტომ ასეთი ცვლილებები ჩემთვის პრობლემა უკვე აღარაა. რასაც მწვრთნელი გადაწყვეტს, ის იქნება მთავარი. და თუ მე მკითხავენ, ჩემი აზრი, ცხადია, მაქვს — შუაში თამაში მირჩევნია. ვფიქრობ, ასე უფრო მეტ სარგებელს მოვუტან ნაკრებს, თუმც ჩემს აზრს არავის ვახვევ — მთავარი ჟირესია.

— ჟირესის ხელში ნაკრები უფრო შეკრული ჩანს. განსაკუთრებული რა შეიცვალა?

— ვერ დაგეთანხმები. ჟირესის დროს ისრაელთან და მოლდოვასთან ამხანაგურ მატჩებში რომ წავაგეთ, მაშინ ეს არავის წამოსცდენია. ყველაფერი მას შემდეგ დაიწყო, რაც თურქეთ-ალბანეთთან ოთხი ქულა ავიღეთ და ჯგუფში პირველ ადგილზე ვართ. ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, გეტყვით, რომ გუნდში ახლაც ისეთივე სიტუაციაა, როგორიც იმავე ისრაელ-მოლდოვასთან იყო. განსხვავება ერთადერთია — ახლა შედეგი გვაქვს და ხალხიც ჩვენს დადებით მხარეებზე ალაპარაკდა.

— თურქეთ-ალბანეთთან მატჩებს როგორ შეაფასებ?

— რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, მაგრამ ერთი თხოვნაც მაქვს ყველასთან: ჯერ ნუ ვიტყვით, რომ ეგ არის და, მსოფლიოს ჩემპიონატზე გავედით. ეიფორიაში არ უნდა ჩავვარდეთ, მით უმეტეს, საამისოდ საქმე ნაღდად არ გვაქვს. ჯერ ყველაფერი წინაა და რაც გადავიტანეთ, იმაზე ათჯერ მეტი გვაქვს გადასატანი. მგონი, დავინახეთ, რომ რაღაცის გაკეთება ჩვენც შეგვიძლია და, დაწყებული შუა გზაზე არ უნდა მივატოვოთ. თურქეთ-ალბანეთთან მხოლოდ ერთი ნაბიჯი გადავდგით წინ. ეს არის და ეს.

— 13 ოქტომბერს უკრაინასთან მატჩი გველის...

— თანაც ურთულესი. აწი ჩვენთვის ყველა თამაში ძალიან ძნელი იქნება. მართალია, წინა მატჩებში ბრწყინვალე ფეხბურთი არ გვიჩვენებია, მაგრამ ქულები ავიღეთ და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ახლა თანდათან უნდა ვეცადოთ, ხარისხიც გავაუმჯობესოთ და წარმატება გავიხანგრძლივოთ. უკრაინა ჯგუფის ფავორიტი არ არის, მაგრამ სერიოზული და ძლიერი გუნდია, თან შინ თამაშობს. თუმც ეს ბევრს არაფერს ნიშნავს — ჩვენ ჩვენი საქმე უნდა გავაკეთოთ და ვიცით, რომ ეს შეგვიძლია.

ძახა შალამბერიძე

ბ. ბერიძის ფოტო

გადი იქით, შენ!

ინძაგინო ლაციოში დარჩა

სიმონე ინძაგიმ „ლაციოსთან“ ხელშეკრულება გაახანგრძლივა. არადა, ელოდნენ, რომ ახალ თანაგუნდელ, პაოლო დი კანიოსთან მოედანზე საჯარო შელაპარაკების შემდეგ, მილანელი სუპერპიპოს უმცროსი ძმა უფრო წასვლას მოინდომებდა

სიმონე ინძაგის რაც სურდა, ის აისრულა

„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ კლუბთან საერთო ენა გამოვნახე — დაწერა თავდამსხმელმა „ლაციოს“ ოფიციალურ საინტერნეტ ვებ-გვერდზე — ეს სწორედ ის იყო, რაც მინდოდა, რომ მომხდარიყო. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოს, რომელმაც შანსი მომცა გამეგრძელებინა ჩემი თავგადასავალი იმ გუნდში, რომელთანაც ამდენი წელიწადია მოვდივარ“.

ასე და ამგვარად, თავიდან „პიაჩენცაში“ ნათამაშევი ინძაგი რომში 2009 წლის ივნისამდე დარჩება, თუმც იმის შესახებ, დაყაბულდა თუ არა ფეხბურთელი ხელფასის შემცირებას, არსად, ერთი სიტყვითაც არ თქმულა არაფერი.

ახლა კი შეგახსენებთ, რაც ზეგით ითქვა: ამ დღეებში დი კანიოსთან საჯარო შეხლის გამო ინძაგი იტალიური პრესის ფურცლებზე საგანგებოდ მოხვდა. ეს „სამპდორიასთან“ შეხვედრის დროს მოხდა, როდესაც „ლაციოს“ სასარგებლოდ პენალტი დაინიშნა. ინძაგი, ჩვეულებრივ, პენალტის დამრტყმელად არის აღიარებული, მაგრამ ინგლისში ნათამაშევმა და საზოგადოდ გიჟმაჟობით ცნობილმა დი კანიომ მუჯლუგუნი ჰკრა და გენუელებს პენალტი თვითონ დაურტყა. ბუნებრივია, ამას დიდი გაუგებრობა მოჰყვა. აშკარა იყო, რომ გუნდში ზეიმი და კონფლიქტი უშნოდ შეერია ერთმანეთს.

მოგვიანებით დი კანიომ განაცხადა, რომ პრობლემა მოგვარებულია: „ეს გოლი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა. მე და ინძაგიმ თამაშის შემდეგ გასახდელში ვისაუბრეთ და ყველაფერი გავარკვიეთ. ამიერიდან პენალტებს რიგრიგობით დავარტყამთ“.

საინტერესო იყო პრესკონფერენციაზე „ლაციოს“ მცველის, მასიმო ოდოს კომენტარი:

„მეც კი შემიძლია პენალტის დარტყმა, მაგრამ რომ გავიხედე, ბურთთან ორი მაჩხუბარი დავინახე და მეც რომ შევერთებოდი, ახლაც იქ ვიდგებოდით“.

იტალიურ საკონტრაქტო სიახლეთაგან კიდევ „პარმასა“ და ნახევარმცველ ხორხე ბოლანოს გარიგებაა აღსანიშნავი. მან ხელფასის შემცირებაზე ყაბული თქვა და 2007 წლამდე გაახანგრძლივა ხელშეკრულება.

ბაბუნა კედია

ტუტუცი ბიჭის ამბავი

ანტონიო კასანოს თემა იოლად დასამთავრებელი არ გამოდგა. შეგახსენებთ: „რომას“ 21 წლის ფორვარდი, კვირას სერია A-ს ახალი პირველობის პირველ ტურში, „ფიორენტინას“ წინააღმდეგ თამაშისას მოედნიდან გააძევეს, რისი მიზეზიც მეტოქის მცველთან, ჯორჯო კიელინისთან შეხლა გახლდათ

კასანოს საქციელმა უპირველეს ყოვლისა საკუთრივ „რომას“ უფროსობა აღაშფოთა, მაგრამ შემდეგ დაირხა ხმა, რომ ფეხბურთელი მწვრთნელს, რუდი ფიოლერს შეხვდა, ოცი წუთის განმავლობაში ესაუბრა და ბოდიშიც მოიხადა, რის გამოც კლუბმა მისი დასჯა გადაიფიქრა — ეს ვიცოდით აქამდე, შემდეგ კი შევიტყვეთ, რომ „რომა“ კასანოს მაინც უპირებდა დასჯას, ოღონდ... მას მერე, რაც გაიგებდა, რამდენ თამაშიან დისკვალიფიკაციას მიუსჯიდა საერთო იტალიური ფეხბურთის სადისციპლინო კომიტეტი. ამბობდნენ, რომ რომაელები ფეხბურთელის ჯამაგირიდან დაახლოებით 70-75 ათასი დოლარის ტოლი თანხის ამოცლას გეგმავდნენ. საერთოდაც, იხსენებდნენ, რომ „ბარის“ ყოფილ თავდამსხმელს კარგი ქცევის პრობლემა აქვს — მოჰყავდათ კონკრეტული მაგალითები 21 წლამდელთა ნაკრების თავკაცთან, კლაუდიო ჯენტილესთან უზრდელობისა, იგონებდნენ, „რომას“ ყოფილ შეფთან, ფაბიო კაპელოსთან ტლიკინის ფაქტებს და სხვა. ერთი სიტყვით, თითქოს შეიქნა აზრი, რომ თავგასულ კასანოს დასჯა არ აწყენდა, მაგრამ გაირკვა თუ არა, რომ სადისციპლინო კომიტეტი თავდამსხმელს ორი მატჩით სჯის, „რომამ“ ტონი იცვალა.

კასანოს ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთელმა უნდა გამოტოვოს ამ უქმეების მატჩი მესინაში და 22 სექტემბრის საშინაო შეხვედრა „ლეჩესთან“, ეს კი კლუბის ხელმძღვანელებს აღარ მოსწონთ და ამბობენ, რომ აპელაციისთვის ემზადებიან.

თუმცა, ისიც თქვეს, რა ღონეს იხმარს „რომა“ საბოლოოდ მაინც კლუბის პრეზიდენტის, ფრანკო სენსის გადასაწყვეტიაო.

ბაბუნა კედია



ანტონიო კასანოს კარგი ქცევის პრობლემა აქვს

ფრანც ბეკენბაუერის ნათქვამმა ფელიქს მაგათი ჩააფიქრა

ბეკენბაუერი მაგათს საშობაო ვადას აძლევს

მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა გუნდის მწვრთნელ ფელიქს მაგათს პრობლემების გამოსასწორებლად დეკემბრის ბოლომდე მისცა ვადა. „ბაიერნმა“ 2004-05 წლების სეზონი საკმაოდ უფერულად დაიწყო და კაიზერ ფრანციც უკეთესი შედეგების მიღწევას ცდილობს. „თუ შობა-ახალწლამდე სიტუაცია არ გამოსწორდა, კლუბში ცვლილებების შესახებ სერიოზული საუბარი მოგვიწევს“ — აღნიშნა ბეკენბაუერმა გერმანული სპორტული არხის DSF-სადმი მიცემულ ინტერვიუში.

მანამდე კი, კაიზერი გუნდის დამრიგებელს მისივე შეგირდების საგაზეთო თავდასხმებისგან იცავს. მოგეხსენებათ, მაგათს ბრაზილიელ ლუსიოსთან და პარაგვაელ როკე სანტა კრუზთან არცთუ ისე შეხმატკბილებული ურთიერთობა აქვს და გერმანულ პრესაშიც ხშირად იბეჭდება „ბაიერნის“ თავკაცის გადაწყვეტილებებით უკმაყოფილოთა განცხადებები. „გუნდში მენტალიტეტი უნდა შეიცვალოს, მაგრამ ეს სავსებით არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ფელიქს მაგათის უთავბოლო კრიტიკა დავიწყოთ — ის ცუდს არაფერს აკეთებს, პირიქით, თავის მოწაფეებს სთხოვს, წვრთნის საქმეს რიგიანად მოეკიდონ“ — განაცხადა ბეკენბაუერმა. ბავარიელთა პრეზიდენტმა ყოფილი მწვრთნელის და ევრო 2004-ზე ბერძნული სასწაულის ავტორის, ოტო რეჰაგელის შესახებაც ილაპარაკა. ოტო თავის დროზე იძულებული გახდა, „ოლიმპიამტადიონი“ სეზონის დასრულებამდე მიეტოვებინა. „ჩვენ მაშინ გარკვეული შეცდომები დავუშვით, დამრიგებლის წასვლა-დარჩენის თაობაზე კლუბის წამყვან ფეხბურთელებთან უნდა გვეთათბირა. მაგათის სიტუაცია სულ სხვაა — „ბაიერნმა“ იგი თავიდანვე კარგად მიიღო. ახლა მთავარია, ფელიქსმა და მთამაშეებმა გუნდის ინტერესებისთვის საერთო ენა მალე გამონახონ“ — ამბობს კაიზერი ფრანცი.

ლადო ხომერიკი

გალანძღვა ავტობუსში

პრემიერლიგაში „ვესტ ბრომვიჩს“ ამ სეზონში ჯერ მატჩი არ მოუგია და გუნდში დიდი არეულობაა: გასულ უქმეებზე ბრომვიჩელები „ლივერპულთან“ „ენფილდზე“ დამარცხდნენ. თამაშის შემდეგ სტუმართა ავტობუსში ჩხუბი მოხდა. მცველი თომას გაარდსო და გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი ედი სტოველი წაკინკლავდნენ, მოქიშპენი მალე გააშველეს. ინგლისურმა მედიამ კი მეორე დღეს დაწერა, ავტობუსში ჯგუფური ჩხუბი იყოო.

კინკლაობის ფაქტი „ვესტ ბრომვიჩის“ მთავარმა მწვრთნელმა გარი მეგსონმა დაადასტურა, თუმც მედიას უსაყვედურა, ორი კაცის კამათის ამბავი ძალიან გაგიბერავთო. „ჯგუფური დაკა-დაკა არ მომხდარა. დაძაბული ვითარება მალევე ჩაწყნარდა და ჩვენ აუცილებლად გავარჩევთ ამ საქმეს. ბიჭებს ერთი დღე მივეცი დასასვენებლად და ნერვების დასაოკებლად“ — თქვა ბრომვიჩელთა თავკაცმა. გარი მეგსონს კლუბის თავმჯდომარესთან ისედაც წახდენილი ურთიერთობა აქვს და ცუდი შედეგების გამო ეგებ, მალე დაითხოვონ.

ვაჟა ხუციშვილი

ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. I ტური

E ჯგუფი

არსენს ალექსი დაეხმარა

შუმს იღბალი გაუსვირდა

არსენალი 1:0 პსვ ეინდჰოვენი

1:0 ალექსი (42ს.ჯ.)

არსენალი: ლემანი, ლორენი, სიგანი, ტურე, ე. კოული, ბერხკამპი, ვიეირა, ჟილბერტო სილვა, პირესი, ანრი, რეიესი (ედუ 79)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

პსვ ეინდჰოვენი: ზუტებირი, ოიერი, ალექსი, ბუმა, ი. ლი, პარკი, ვან ბომელი, კოკუ (ჯ. დე იონგი 83), ფოგელი, ბესლი (ფარფანი 59), სიბონი (ვენეგაორ ოფ ჰესელინკი 67)

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

გაფრთხილება: ოიერი

მსაჯი: დომენიკო მესინა (იტალია)

34 068 მაყურებელი

„არსენალმა“ ხუთ პრემიერლიგურ ტურში 19 გოლი მიითვალა, მაგრამ პსვ-სთან შეხვედრაში „მეთოფეებს“ ვაზნები გამოელიათ. სტუმართა ბრაზილიელმა მცველმა ალექსმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა და დამხვდურებმა ამ გოლის წყალობით მოიგეს. მანამდე პირესმა გაიტანა, თუმც მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა აღნიშნა და გააუქმა.

„არსენალის“ ძირითად შემადგენლობაში წელის ტკივილის გამო ფრედრიკ ლიუნგბერგი ვერ მოხვდა და მის ნაცვლად ხოსე ანტონიო რეიესმა ითამაშა. მასპინძლები პირველ ტაიმში მეტოქის საჯარიმოს შეესივნენ, კარშიც საკმაოდ ურტყეს და ალექსის უიღბლობით იხეირეს. ტიერი ანრიმ კოკუ და ოიერი ჩამოიცილა, ბურთი ვიეირას დაუგორა, რომლის დარტყმულიც გზად პსვ-ს ბრაზილიელს შეეხო, მეკარე დაიბნა და გოლიც გავიდა.

სტუმრები მატჩის ბოლოს მიაწყდნენ „არსენალის“ წილ მოედნის ნახევარს, როცა „მეთოფეები“ უკვე ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნავდნენ. ჰოლანდიელთაგან ყველაზე რეალური საგოლე მომენტი შეცვლაზე შესულ ვენეგაორ ოფ ჰესელინკს ჰქონდა, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გაიტანა.

ნამატჩევს არსენ ვენგერმა თქვა: „ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი პირველი შეხვედრა, რომელშიც „ინტერთან“ 0:3 დავმარცხდით, კარგად მახსოვდა და ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის პსვ-სთან გამარჯვება. ახლა ყველაფერი უკეთ აეწყობა. შინ მოგებით დაწყება გვსურდა, რადგან მომდევნო ორი თამაში სტუმრად გვიწევს“.

გუს ჰიდინკი: „ამ ზაფხულს გუნდიდან დენის რომედალი, მატეა კეუმანი და არიენ რობენი წავიდნენ. ამჟამინდელი პსვ ახალგაზრდებისა და გამოცდილების ნაზავია. მე კმაყოფილი ვარ მათი თამაშით. დაცვამ იყოჩაღა და მეორე ტაიმში „არსენალი“ გვარიანად ვანერვიულეთ. სამწუხაროა, რომ გოლი პირველი ნახევრის მიწურულს გავუშვით“.

პანათინაიკოსი 2:1 რუსენბორგი

1:0, 2:0 გონსალესი (42, 79), 2:1 ფ. იონსენი (90)

პანათინაიკოსი: გალინოვიჩი, მორისი, გუმასი, კირიაკოსი, მიუნხი, მიტუ (მარიჩი 73), ბასინასი, სკაჩელი (კონსტანტინიდისი 87), ე. გონსალესი, პაპადოპულოსი, კონსტანტინუ (ანდრიჩი 57)

მწვრთნელი: იცხაკ შუმი

რუსენბორგი: ე. იონსენი, რისეტი, ჰოფტუნი, ბასმა (რასელი 24), დორსინი, სტრანდი, ვინსნესი, ო. ბერგი, სოლი (ბრატბაკი 85), სტორფლორი, ფ. იონსენი

მწვრთნელი: ოლა-ბი რისე

მსაჯი: პოლ ალერტი (საფრანგეთი)

13 204 მაყურებელი

„პანათინაიკოსმა“ სეზონში პირველი ოფიციალური მატჩი გამართა და მოიგო, თუმც ნორვეგიელებმა ძელ-ხარიხაც აზანზარეს, ბურთიც მეტწილად მათ ჰქონდათ, მაგრამ ამაოდ.

ნამატჩევს ბერძენთა მწვრთნელ იცხაკ შუმს უთხრეს, იღბალი დღეს თქვენსკენ იყო. შუმმა გაიკვირვა: „რატომ? იღბალი რომ გვქონოდა, 5:3 უნდა მოგვეგო. სამ-ოთხი რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ“.

„რუსენბორგის“ თავკაცი ოლა-ბი რისე: „ჩვენ ქულა გვეკუთვნოდა, რადგან ძალიან კარგად ვითამაშეთ და მარცხს ნაღდად არ ვიმსახურებდით. ასეთ ფორმას თუ შევინარჩუნებთ, მერვედფინალში გასვლის კარგი შანსი გვექნება“.

REUTERS ლონდონიდან

არსენალი — პსვ ეინდჰოვენი. ტიერი ანრიმ თვითონ ვერა, მაგრამ მოწინააღმდეგეს საკუთარ კარში გაატანინა

„პანათინაიკოსს“ გოლის სწრაფად გატანა სურდა და „რუსენბორგის“ საჯარიმოს მიაწყდა, მაგრამ სტუმრები დაცვაში დალაგებულად თამაშობდნენ. მერვე წუთზე ფროდე იონსენის დარტყმულმა ბურთმა ბერძენთა კარის ძელი შეატოკა. შემდეგ იონსენი მეკარესთან პირისპირაც გავიდა, მაგრამ მომენტი ჩააფლავა. ამის მერე ორიან ბერგმაც ხარიხას გაარტყა ბურთი, მაგრამ გოლი სტუმართა კარში გავიდა. ეზეკელ გონსალესმა მაღლიანად მოიქნია ფეხი და ესპენ იონსენი უშანსოდ დატოვა. დაწინაურებული „პანათინაიკოსი“ მაინც აწეწილი ჩანდა. მეორე ტაიმის დასაწყისში ფროდე იონსენმა კიდევ ერთი მომენტი გააცუდა, ხოლო გონსალესმა თავისი შანსი გამოიყენა და დუბლი შეასრულა. იონსენმა მატჩის მიწურულს მაინც გაიტანა — „პანათინაიკოსის“ მეკარეს ბურთი ხელიდან გაუვარდა და კარში აღმოჩნდა.

ვაჟა ხუციშვილი

პანათინაიკოსი	1	1	0	0	2:1	3
არსენალი	1	1	0	0	1:0	3
რუსენბორგი	1	0	0	1	1:2	0
პსვ ეინდჰოვენი	1	0	0	1	0:1	0

F ჯგუფი

ლარსონმა სელტიკი გადაიტანა

შვედს უსტვინეს, აგინეს და თავზე ხელი გადაუსვეს

სელტიკი 1:3 ბარსელონა

0:1 დეკო (20), 1:1 სატონი (59), 1:2 ჟიული (78), 1:3 ლარსონი (82)

რონალდინიომ ვერ გაიტანა პენალტი (55, მეკარე)

სელტიკი: მარშალი, აგატი, ბალდე, ვარგა, მაკნამარა (სილა 78), პეტროვი, ლენონი, ა. ტომპსონი, ჟუნინიო პაულისტა (სატონი 46), ჰართსონი (ვალგაერენი 62), ა. კამარა

მწვრთნელი: მარტინ ონილი

ბარსელონა: ვ. ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, მარკესი (ოლეგერი 62), ვან ბრონკჰორსტი, ხერარდი, ხავი, დეკო, ჟიული, რონალდინიო (ლარსონი 62), ეტოო (ინიესტა 74)

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

გაფრთხილება: ჰართსონი, ჟუნინიო პაულისტა, მარკესი, მაკნამარა

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

58 589 მაყურებელი

აი, თამაში! „სელტიკ პარკზე“ ჩატარებულმა მატჩმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ჩემპიონთა ლიგის სიდიადეში. დიდებული იყო „ბარსელონა“, არანაკლები იყო „სელტიკიც“. დაგვეთანხმებით, ფეხბურთის გურმანს ალბათ, ნამდვილად არ მოუწყენია.

და ჰენრიკ ლარსონი? ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ მოქცეული შვედი მეგოლე გამაყრუებელი სტვენის თანხლებით შევიდა შეცვლაზე, თუმც აქა-იქ ტრანსპარანტებიც გამოეფინათ „სელტიკის“ და, ალბათ, უფრო ლარსონის ფანებს: ჰენრიკ, შენ არა ხარ მარტო!

გოლი? ალან ტომპსონის საჩუქარი რომ შეირგო და აუღელვებლად გაიტანა, მის სახეზე სიხარულის ნატამალსაც ვერ ამოიკითხავდით. ასეა, ლარსონი კაცია და ვერც გაამტყუნებ.

კიდევ რა მოხდა ამ მართლაც ზღაპრულ შეხვედრაში? მასპინძელთა ყმაწვილმა მეკარე დევიდ მარშალმა ითამაშა ჩინებულად, რომ არაფერი ვთქვათ მოგერიებულ პენალტზე, რონალდინიოს დარტყმულს ჩინებული ნახტომი შეაგება. მარშალს არც ვიქტორ ვალდესი ჩამორჩა, ჩინებული გოლი გაიტანა კრის სატონმა, ძალიან სასარგებლო იყო ჟულიანო ბელეტის კროსებიც.

ერთი სიტყვით, გუშინწინდელმა მატჩმა სპეციალისტები დაარწმუნა, ფრანკ რაიკარდის „ბარსელონა“ ყველასთვის ძალიან საშიში მეტოქე იქნება და ლიგის მოგების ერთ-ერთი უმთავრეს ფავორიტთაგანი. ხოლო თუ სტატისტიკას მოვიშველიებთ, გეტყვით, რომ გლაზგოურმა კლუბმა 72-ე მატჩში დაყარა ფარ-ხმალი.

შახტარი 0:1 მილანი

0:1 ზეედორფი (84)

შახტარი: ლაშტუვკა, ბარკაუანი, დულიაი (აგაჰოვა 86), ლევანდოვსკი, რაცი, სრნა, ტიმოშჩუკი, მატუზალემი, ჟულკიჩი, ვორობეი (ბატისტა 77), მარიკა

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა, სტამი, მალდინი, გატუზო (დორასო 71), პირლო (რუი კოშტა 75), ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, ტომასონი (კრესპო 63)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: სრნა, ტომასონი, სრნა, კაფუ, დორასო

გაძევება: სრნა (53)

მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

30 000 მაყურებელი

„შესაფერისად ვერ ითამაშეთ, მაგრამ, რაც მთავარია, სამი ქულა ავიღეთ და ამით ვარ კმაყოფილი. თამაშამდეც ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ, „შახტარი“ ძალიან კარგი გუნდია, კომპლიმენტები ჩემს კოლეგა მირჩა ლუჩესკუს“ — თქვა ნამატჩევს პრესკონფერენციაზე „მილანის“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ.

ჰოლანდიელმა კლარენს ზეედორფმა 84-ე წუთზე მოიქნია საგოლედ და მანამდე ჩინებულად მოთამაშე დონეცკელთა ჩეხ მეკარე იან ლაშტუვკას ერთადერთი შეცდომა დააშვებინა — მან დარტყმულზე რეაგირება წამით დააგვიანა.

არადა, „შახტარმა“ იტალიის ჩემპიონი ძალიან შეაკიწროვა და ვინიცის, დარიო სრნას მსაჯისთვის თავი რომ არ გაეძევებინა, „მილანს“ ეგებ ვერც მოეგო.

უკრაინელებს მომენტები საკმარისად ჰქონდათ, „შავ-წითელთა“ განთქმული დაცვის ხაზი ხშირად სცოდავდა, მაგრამ მასპინძლებმა, ქომაგთა მხურვალე მხარდაჭერის მიუხედავად, მეკარე დიდა ვერ გატეხეს.

ზემოთ გითხარით, უსაქმოდ არც ლაშტუვკა იყო: ორჯერ ტომასონის თავურის, თითოჯერაც შევჩენკოკაკას გასროლილების მოსაგერიებლად მეკარემ დიდი ჯაფა გასწია.

და მაინც, „მილანმა“ მასპინძლები უფრო კლასის ხარჯზე დაამარცხა.

გიორგი ვაშაკიძე

ბარსელონა	1	1	0	0	3:1	3
მილანი	1	1	0	0	1:0	3
შახტარი	1	0	0	1	0:1	0
სელტიკი	1	0	0	1	1:3	0

REUTERS გლაზგოდან

სელტიკი — ბარსელონა. სამუელ ეტოომ (№9) თავი ვერაფრით გამოიჩინა, ჰენრიკ ლარსონი ყოფილ თანაგუნდელებს რა თქმა უნდა, კეთილად დასცილდა

ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. I ტური

G ჯგუფი

ეს ჯგუფი რეკორდებისაა

ვალენსიაში უსწრაფესი გოლი გავიდა, მილანში უსწრაფესად გააძევეს

ვალენსია 2:0 ანდერლეხტი

1:0 ვისენტე (17), 2:0 ბარახა (44)

ვალენსია: კანისარესი, კურო ტორესი, დ. ნავარო, მარჩენა, კარბონი, რუფეტე (კორადი 58), ბარახა, ალბელდა (სისოკო 73), ვისენტე, აიმარი (ფიორე 77), ანგულო

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

ანდერლეხტი: ზიტკა, ვანდენ ბორე, კომპანი, ლ. ტრაორე, დეშახტი, ვილჰელმსონი, ბასეჯიო, ჰასი (ზეტერბერგი 56), ჟევლაკოვი (ლოვრე 81), მპენზა, დინდანე

მწვრთნელი: უგო ბროოსი

გაფრთხილება: ტრაორე, რუფეტე, ჟევლაკოვი, მარჩენა

მსაჯი: ბერტრან ლაისი (საფრანგეთი)

45 000 მაყურებელი

განსაკუთრებული არაფერი მოხდარა, ფავორიტად „ვალენსია" ითვლებოდა და მოიგო კიდეც.

პირველი გოლი, რომელიც ჩემპიონთა ლიგის პირველი გოლიც გამოდგა, ვისენტემ გაიტანა, თუმცა ამ გოლში ბელგიელთა მეკარის დანიელ ზიტკას წვლილიც არანაკლებია. მეკარეს იოლად შეეძლო რუფეტეს ჩაწოდებულს დაუფლებოდა, მაგრამ ბურთი მკერდზე მოხვდა და ვისენტესკენ გაგორდა, ამ უკანასკნელმა კი ზუსტად დაარტყა.

გოლამდე კი ერთი გამოსარჩევი ეპიზოდიც იყო — კურო ტორესმა ბურთი ძელს გაარტყა.

საერთოდ, მასპინძელთა უპირატესობა თვალსაჩინო იყო და ბუნებრივია, გოლმა ისინი კიდევ უფრო გაათამამა. რამდენიმე სახიფათო, მაგრამ უშედეგო იერიშის მერე, პირველი ტაიმის წამატებულ დროში, ვალენსიელებმა მეორე გოლიც გაიტანეს. ვისენტემ ფლანგიდან ჩაწოდა რუბენ ბარახას, ვინაც ბურთი ორი შეხებით გაისწორა და ღონივრად დაარტყა.

შესვენების მერე თამაშის ტემპი რამდენადმე დაეცა. „ვალენსიამ" თავი სამშვიდობოს დაიგულა და მეტოქეს ბურთის გორების მეტი საშუალება მისცა.

თამაშის მერე ესპანელთა ფრიად კმაყოფილმა მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ თქვა: „ძალიან კარგად ვითამაშეთ. უფრო იმით ვარ კმაყოფილი, რომ მეტოქემ გამოკვეთილად დაცვითი სტილი აირჩია და მიუხედავად ამისა, გოლების გატანა არ გაგვჭირვებია. ვისენტეს და ანგულოს ფლანგებზე სივრცეები შევუქმენით, რამაც მათ თამაშის გამწვავების საშუალება მისცა."

დავძინოთ, რომ რანიერის ნომინალური ცენტრფორვადები არ ჰყოლია და თავდამსხმელებად ნახევარმცველები პაბლო აიმარი და მიგელ ანხელ ანგულო ათამაშა.

უგო ბროოსმა კი, „ანდერლეხტის" თავკაცმა თქვა, მეტოქემ მწვრთნელის დავალებები უკეთ შეასრულა, რაკი უფრო მაღალი კლასის ფეხბურთელები ჰყავს, ჩვენ კი კიდევ ბევრი რამ გვაქვს სასწავლიო.

ინტერი 2:0 ვერდერი

1:0, 2:0 ადრიანო (34პ, 89)

ვიერიმ ვერ გაიტანა პენალტი (6, მეკარე)

ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი (ზე მარია 52), კორდობა, მატერაცი, ფავალი, ვან დერ მეიდე, ვერონი, ემრე, სტანკოვიჩი (კამბიასო 82), ვიერი (რეკობა 78), ადრიანო

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

ვერდერი: რაინკე, პასანენი, ისმაელი, ფარენჰორსტი, სტალტერი, ბოროვსკი, ბაუმანი (მანინი 36), ერნსტი, მიკუ, კლასნიჩი (ხარისტიასი 61), ნ. ვალდესი (კლოზე 82)

მწვრთნელი: თომას შაფი

გაფრთხილება: კორდობა, ბაუმანი, ფავალი, მიკუ

გაძევება: ისმაელი (5)

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

46 000 მაყურებელი

ბრაზილიელი ადრიანოს წყვილი გოლით „ინტერმა" „ვერდერი" დასცა და „ვალენსიასთან" ერთად ჯგუფის თანალიდერი შეიქნა. არადა, იტალიელებს ესპანელებთან ადგილის გაყოფა კი არა, ბურთების უკეთესი შეფარდებით პირველობაც შეეძლოთ. საამისოდ რაიმე განსაკუთრებულის გაკეთება არც სჭირდებოდათ, უბრალოდ კრისტიან ვიერის პენალტი უკეთ უნდა დაერტყა. პენალტი კი მეხუთე წუთზე დაინიშნა და იმავდროულად, გერმანელები უმცირესობაშიც დარჩნენ — ვალერიან ისმაელმა ადრიანო ისე მოცელა, რომ წითელი ბარათიც აიკიდა და თერთმეტმეტრიანითაც დაისაჯა. სხვათა შორის, ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ორჯერ გაძევეს ფეხბურთელი მეხუთე წუთზე (უფრო ადრე არ გაუძევებიათ) და ორივეჯერ ინტერელთა წინააღმდეგ უხეშობისთვის. ისმაელამდე ეს „პატივი" ნიუკასლელ კრეიგ ბელამის ერგო 2002 წელს.

REUTERS ვალენსიიდან

ვალენსია — ანდერლეხტი. დავიდ ნავარომ და მასპინძლებმა, არუნა დინდანე და ბელგიელები ბურთს არ გაყარეს

მაგრამ „ინტერს" მაინც ეწერა ამ მატჩში პენალტის გატანა. საჯარიმოში წაქცეული ისევ ადრიანო იყო, წამქცევი კი ფრანკ ბაუმანი. ვიერიმ ველარ გარისკა პენალტის მეორედ დარტყმა და ბურთთან ადრიანო მიუშვა, ვინაც გახსნა კიდეც ანგარიში.

მეორე გოლი კი ადრიანომ თამაშის მიწურულს გაიტანა ხუან სებასტიან ვერონის კარგი პასით და უძლიერესი დარტყმით.

თამაშის ზოგადი სურათიც „ინტერის" აშკარა უპირატესობაზე მეტყველებდა და ამდენად, შედეგი სავსებით სამართლიანად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

კოტე კეკელია

ინტერი	1	1	0	0	2:0	3
ვალენსია	1	1	0	0	2:0	3
ანდერლეხტი	1	0	0	1	0:2	0
ვერდერი	1	0	0	1	0:2	0

H ჯგუფი

ფერნანდესს რუსები ყულფიდან გაექცნენ

ხმები პარიზელთა სიჯვდილის შესახებ...

პსჟ 0:3 ჩელსი

0:1 ტერი (29), 0:2, 0:3 დროგბა (45, 75)

პსჟ: ლეტიზი, მენდი, პიერ-ფანფანი, არმანი, მბამი, ჩანა, ელდერი, კორიდონი (ლიუბოია 66), როტენი (ატება 84), პაულეტა, ოგბეჩე (პანკრატი 73)

მწვრთნელი: ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი

ჩელსი: ჩეხი, ჰ. ფერეირა, გალასი, ტერი, ბრიჯი, ტიაგუ, მაკელელე, ლამპარდი, ჯ. კოული (ჯერემი 70), დროგბა (დაფი 81), გუდიონსენი (კეუმანი 11)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: ელდერი, ლამპარდი

მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

53 000 მაყურებელი

სპილოს ძვლის ნაპირელმა დიდე დროგბამ ორი გოლი შეაგდო, სულ კი „ჩელსიმ" „პარი სენ ჟერმენს" სამი გაუტანა და დაამტკიცა, რომ ფრანგული გუნდი მასთან შედარებით სათვალავშიც არ არის ჩასაგდები — აი, ასეთი გახლდათ ჩემპიონთა ლიგის წინა გათამაშების ნახევარფინალისტის სტარტი ახალ გათამაშებაში.

REUTERS პორტუდან

პორტუ — ცსკა. კოშტინიამ და პოსტიგამ სტუმართა ბოსნიელის, ელვირ რახიმიჩის გაჭყლეტვა ამაოდ სცადეს

პირველი გოლი კი ინგლისელმა მცველმა ჯონ ტერიმ გაიტანა. ეს თამაშის დაწყებიდან ნახევარი საათის შემდეგ მოხდა, როდესაც ლონდონელებმა შეტევის მარცხენა ფრთიდან კუთხური ჩააწოდეს, მასპინძელთა მეკარე ლიონელ ლეტიზი კი გამოსვლის დროს შეცდა. შემდეგ კი უკვე დროებას ჯერი დადგა — „მარსელიდან" ინგლისში ამ ზაფხულს გადასულმა, პარიზელებთან ბრძოლაში ჭიპმოჭრილმა ფორვარდმა ახლოდან მიაღწია მიზანს.

დროგბამ მეორე გოლი უკვე მეორე ტაიმის ბოლოს შეაგდო და მწვრთნელს, პორტუგალიელ ჟოზე მაურინიუს, რომლის წინა თამაში ჩემპიონთა ლიგაში, „პორტუს" ტრიუმფალური ფინალი გახლდათ, ახალი გამარჯვებისთვის გაუკვალა გზა.

„ბედნიერი ვარ, რომ გავიმარჯვეთ, მე კი ორი გოლი გავიტანე — განაცხადა მატჩის შემდეგ დროგბამ — ეს გოლები დამატებით რწმენას მომცემს. ჩვენ პარიზში სამი ქულა მოვიპოვეთ და ეჭვი არ მეპარება, რომ ეს გამარჯვება შემდეგ ეტაპზე გასვლაში დაგვეხმარება".

ლონდონელთაგან გოლების გატანა შეეძლო მატეა კეუმანსაც — რომელიც მოედანზე დაშავებული თავდამსხმელის, ეიდურ გუდიონსენის ნაცვლად იყო — კეუმანის დარტყმული ფრანგების მეკარემ მოიგერია.

„პარი სენ ჟერმენის" მწვრთნელს, ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩს, თამაშის შემდეგ თავის მართლება ძალიან გაუჭირდა.

„ვგრძნობ, რომ დღეს სტადიონზე მოსული ქომაგების წინაშე შევრცხვი. ამ ხალხს იმაზე უკეთესი ეკუთვნოდა, ვიდრე ჩვენ შევძელით. ამ ეტაპზე ჩვენი გუნდი მკაცრი გამოცდის წინაშე დააყენა ცხოვრებამ, მაგრამ მინდა მოგახსენოთ, რომ ხმები ჩვენი გარდაცვალების შესახებ გადაჭარბებულია".

პორტუ 0:0 ცსკა

პორტუ: ვიტორ ბაია, სეიტარიდისი, ჟორჟე კოშტა, პეპე, არეიაში, კვარესმა (უგო ლეალი 73), კოშტინია, მანიშე, დიეგო, კარლოს ალბერტო (ლუის ფაბიანო 65), პოსტიგა (მაკკარტი 82)

მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი

ცსკა: აკინფეევი, შემბერასი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, ოდია, ალდონინი (ვ. ბერეზუცკი 87), ჟირკოვი, იაროშიკი, რახიმიჩი, ოლიჩი, ვაგნერი (სემაკი 87)

მწვრთნელი: ვალერი გაზაევი

გაფრთხილება: ოდია, ჟირკოვი, ჟორჟე კოშტა, აკინფეევი

მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

40 000 მაყურებელი

ამავე ჯგუფის მეორე შეხვედრაში კი „პორტუს" საკუთარმა გულშემატკივარმა უსტვინა — ასე დაიწყო ახალი ევროსეზონი წინა გათამაშების გამარჯვებულმა. პორტუგალიის ჩემპიონი მოსკოვის ცსკას მასპინძლობდა და სათამაშო უპირატესობას ფლობდა კიდეც, მაგრამ თავის სასარგებლოდ ამ არაფრისმთქმელი შეფასების გარდა ვერაფერი მოახერხა. გარდა ამისა, რუს მეკარეს, იგორ აკინფეევს მოუნდა იმ საღამოს კარგად თამაში.

მასპინძლების ყველაზე კარგი მომენტი ელდერ პოსტიგას ჰქონდა — უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ახლოდან ძელს გაარტყა ბურთი, მაგრამ თუ საქმე ძელზე მიდგა, რუსული ჯარის სპორტულ სამსახურში ჩამდგარმა ხორვატმა ივიცი ოლიჩმა მეორე ტაიმში ორჯერ სდრუნა ძელს, თან ერთი შეტევის განმავლობაში.

მატჩის შემდეგ „პორტუს" ესპანელმა მწვრთნელმა ვიქტორ ფერნანდესმა განაცხადა:

„ადრინდელთან შედარებით, გაცილებით უკეთ ვითამაშეთ, უფრო სწრაფად, გუნდურად, კარში გაცილებით ხშირად კურტყამდით. შესვენების შემდეგ მართლა ძალიან მივაწექით მოწინააღმდეგეს, მაგრამ ძალიან ცუდი რამ შეგვემთხვა, გოლი ვერ გავიტანეთ. სწორედ ეს სტოვებს ცუდ გემოს. ვალდებულნი ვიყავით მოგვეგო, მაგრამ რუსები ყულფიდან დაგვიძვრენ".

ყველაზე მეტად კი პორტუგალიელებს აკლადთ დეკო, რომელიც იმ წუთებში თავისი ახალი გუნდის, „ბარსელონას" შემადგენლობაში გლაზგოში თამაშობდა და „სელტიკის" კარში გოლიც გაიტანა.

ცსკა-ს მწვრთნელი, ყველა თაობის ქართველების კარგი ნაცნობი ვალერი გაზაევი კმაყოფილი გახლდათ. ბოლოს და ბოლოს, მას ხომ შემადგენლობაში მხოლოდ ორი ფეხბურთელი ჰყავდა ჩემპიონთა ლიგის გამოცდილებით.

„ჩვენ სწორი ტაქტიკა შევარჩიეთ, მეტი სახიფათო მომენტი შევქმენით, მაგრამ სოლიდური შედეგი მაინც არ გამოგვივიდა. ჩვენი მოთამაშეები ჯერ ძალიან ახალგაზრდები არიან და ვფიქრობ, „პორტუსთან" ფრე მათ მაინც გაამხნევებს. „პორტუსგან" მეტს ველოდი თუ არა? ყველა გუნდი ახერხებს იმას, რის საშუალებასაც მეტოქე აძლევს".

თამაშის მიწურულს ფერნანდესმა კარლოს ალბერტო ბრაზილიელი თავდამსხმელით, ლუის ფაბიანოთი შეცვალა, ხოლო მანამდე პოსტიგას ნაცვლად სამხრეთაფრიკელ ბენი მაკკარტის დაავალა სამქულიანი ქმედება, მაგრამ არც ამ საქმიდან გამოვიდა რამე. 78-ე წუთზე ლუის ფაბიანომ კი იხელთა შესაძლებლობა, მაგრამ აკინფეევმა აუღო.

პაპუნა კედია

ჩელსი	1	1	0	0	3:0	3
ცსკა	1	0	1	0	0:0	1
პორტუ	1	0	1	0	0:0	1
პსჟ	1	0	0	1	0:3	0

უეფას თასი 2004-2005. მესამე ეტაპი. პირველი მატჩები. დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაბები ნიუკასლში

დოღანმა სხვაობა შეუკვეთა



სტივ მაკლარენის „მიდლსბრო“ ევროთასეზე პირველად ითამაშებს

უეფას თასზე მოთამაშეთაგან ყველაზე გამორჩეული ბნელი საჰნინის „ჰაპოელია“. ეს არის პირველი არაბული გუნდი ისრაელის არაბული უბნისა, რომელმაც ევროთასზე ასე შორს შეტოპა. „ჰაპოელი“ ქვეყნის თასის მფლობელია. „მე ვნერვიულობ, მაგრამ თან მეამაყება, ვიცი, რომ ურთულესი მატჩი გველის“ — თქვა კლუბის თავმჯდომარემ.

„ნიუკასლის“ ახალმა მწვრთნელმა სადებიუტო შეხვედრა პრემიერლიგაში მოიგო. გრემ სუნესის ევრონათლობა დღეს შედგება და „კაჭკაჭებს“ ალბათ არ გაუჭირდებათ „ჰაპოელის“ ძლევა.

აშკარად არ გაუმართლა გროზნის „ტერეკს“, რაკი „ბაზელს“ გადაეყარა, რომელმაც გასულ უქმეებზე „გრასჰოპერი“ 8:1 გაანადგურა და „ტერეკი“ შვეიცარიიდანვე დააშინა, თუმც არანაკლებ შეშინებულები არიან სტუმრები გახშირებული ტერაქტების გამო.

გელზენკირხენის „შალკე“ იუპ ჰაინკესს გასცილდა. ბუნდესლიგის ბოლო ტურში „ვოლფსბურგთან“ 0:3 მარცხის შემდეგ რუდი ასაურმა მწვრთნელზე გული აიყარა და გუნდი დროებით ჰაინკესის თანაშემწეებს ჩააბარა — „შალკეს“ ლატვიურ „მეტალურგსთან“ ედი ახტერბერგი და ოლივერ რეკი ათამაშებენ.

გლაზგოს „რეინჯერსი“ ამ სეზონში ძალიან მკრთალია. ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდა, შოტლანდიის ჩემპიონატი ჯერ არ გახურებულა და „სელტიკს“ უკვე შვიდი ქულით ჩამორჩება. „მარიტიმუს“ კი ერთი კვირის წინ მწვრთნელი შეუცვალეს. „ბელენენსეშთან“ 0:3 წაგების მერე მანუელ კაჟუდა გაათავისუფლეს და მის ნაცვლად მარინუ ბარეტუ დანიშნეს. „შევეცდები გუნდის თამაში გავაუმჯობესო და გულშემატკივრები გავახარო“ — თქვა ახალდანიშნულმა, რომელიც პორტუგალიაში ჩასვლამდე განის ნაკრებს წვრთნიდა და აფრიკელები ათენის ოლიმპიადაზე ათამაშა.

„რეინჯერსს“ ალექს რაე ჰყავს ტრავმირებული და მას ორთვიანი მკურნალობა გამოუწერეს, მაგრამ ჯანზეც რომ იყოს, ვერ ითამაშებდა. რაემ მოსკოვის ცსკა-სთან მატჩში სერგეი დადუს თავში ბუცი მიარტყა და ამის გამო ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აჰკიდეს. „ჩაფართა“ მარჯვენა მცველის ალან ჰატონის თამაშიც საეჭვოა, რადგან შოტლანდია-სლოვენიის შეხვედრისას დაშავდა.

იმრე საბიჩი უნგრეთში დაბრუნდა

„მიდლსბროსა“ და ჩეხური „ბანიკის“ მატჩი განსაკუთრებულია, რადგან „მიდლსბროს“ საევროთასო დებიუტი შედგება. სტივ მაკლარენის გუნდს შესაძლოა, გაისკა მენდიეტა და უგო ეჰიოგუ დააკლდენენ.

ლიეჟის „სტანდარდი“ გერმანულ „ბოხუმს“ დაუხვდება, რომელიც ამ სეზონშიც საკმაოდ კარგად თამაშობს. „ბოხუმის“ დანიელმა მეგოლე პეტერ მადსენმა დორტმუნდის „ბორუსიასთან“ მატჩში ფეხი იტკინა და გუნდს თვენახევრით დააკლდა. „მადსენი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია და სამწუხაროა, რომ ბელგიაში უმისოდ მოგვიწევს წასვლა. მაგრამ შევეცდები, სრულფასოვანი შემცვლელი მოვუძებნო“ — თქვა მწვრთნელმა პეტერ ნოირურერმა. ერთთვიანი მკურნალობა ელის ბოხუმელ ტორდურ გუდიონსონსაც, რადგან სანაკრებო შეხვედრაში დაშავდა.

„სევილია“ პორტუგალიურ „ნასიონალს“ მეგოლე აზიზ მაკუკულას გარეშე უმასპინძლებს, რადგან მას მარჯვენა მუხლზე ოპერაცია გაუკეთეს და სამი-ოთხი კვირა ბურთს ვერ გააგორებს. „ნასიონალის“ სამი ფეხბურთელი გუშინწინ ფუნშალის ბარში ატეხილი აყალმაყალის გამო დააპატიმრეს, მაგრამ სამივე გაამართლეს და ისინიც გუნდს სევილიაში გაჰყვნენ.

ჰაიფას „მაკაბის“ თავდამსხმელი ჯოვანი როსო „დნიპროსთან“ შეხვედრას ნაოპერაციევი მუხლის გამო გამოტოვებს. „როსოს გარეშე ძალიან გაგვიჭირდება, ის ჩვენთვის ფენომენალური ფეხბურთელია“ — თქვა „მაკაბის“ თავკაცმა რონი ლევიმ.

მათიას ზამერის „შტუტგარტი“ ბუდაპეშტში „უიპეშტს“ ეწვევა. ზამერის „ჯაშუშმა“ მეტოქე უკვე დაზვერა და „შტუტგარტის“ მწვრთნელიც ასე ბჭობს: „უიპეშტი“ საკმაოდ კარგი გუნდია და გერმანულ კლუბთან საბრძოლველად მოტივაციაც არ აკლია. ისინი შეეცდებიან, თავი გამოიჩინონ, რათა ბუნდესლიგაში კარიერის გაგრძელების შანსი გაუჩნდეთ. უეფას თასის ახალი ფორმატი მოგვწონს და ჯგუფში მოხვედრა გვსურს.“

„შტუტგარტის“ უნგრელი ფორვარდი იმრე საბიჩი: „მიხარია ბუდაპეშტში წასვლა, რადგან იქ „ფერენცვაროშში“ შედგა ჩემი პროფესიული დებიუტი“.

მეტად საინტერესო მატჩი გაიმართება ტრაპიზონში. თურქეთის ლაზური კუთხე ბილბაოელ ბასკებს უმასპინძლებს. „ტრაბზონი“ ბოლო ერთი წლის განმავლობაში შთამბეჭდავად თამაშობს. მწვრთნელი ზია დოლანი იმედიანადაა და თავის გუნდს ორბურთიანი სხვაობით მოგება შეუკეთია.

სტამბოლის „ბეშიქთაშმა“ ჩემპიონატში პირველი მატჩის მოგებით გუნება გამოიკეთა და ახლა „ბოდო გლიმტს“ ნორვეგიაში თვისტომ იონ კარეუთი ეწვევა.

ვაჟა ხუციშვილი

„ბეშიქთაშმა“ ნორვეგიაში ნორვეგიელი იონ კარეუ ცხადია, ჩაიყვანა

ვისლა (პოლონეთი)	—	დინამო (თბილისი, საქართველო)
გრაცერი (ავსტრია)	—	ლიტექსი (ბულგარეთი)
ლაციო (იტალია)	—	მეტალურგი (დონეცკი, უკრაინა)
ბოდიო გლიმტი (ნორვეგია)	—	ბეშიქთაში (თურქეთი)
შელბურნი (ირლანდია)	—	ლილი (საფრანგეთი)
ჰართსი (შოტლანდია)	—	ბრაგა (პორტუგალია)
აუსტრია (ავსტრია)	—	ლეგია (პოლონეთი)
ბანსკა ბისტრიცა (სლოვაკეთი)	—	ბენფიკა (პორტუგალია)
პარტიზანი (ბელგრადი, სერბეთი)	—	დინამო (რუმინეთი)
პარმა (იტალია)	—	მარიბორი (სლოვენია)
სარაგოსა (ესპანეთი)	—	სიგმა (ჩეხეთი)
სპორტინგი (პორტუგალია)	—	რაპიდი (ავსტრია)
ნიუკასლი (ინგლისი)	—	ჰაპოელი (ბ-ს, ისრაელი)
· სტიაუა (რუმინეთი)	—	ცსკა (სოფია, ბულგარეთი)
უტრეხტი (ჰოლანდია)	—	იურგორდენი (შვედეთი)
მილუოლი (ინგლისი)	—	ფერენცვაროში (უნგრეთი)
შალკე (გერმანია)	—	მეტალურგსი (ლატვია)
მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი)	—	დნიპრო (უკრაინა)
ტერეკი (რუსეთი)	—	ბაზელი (შვეიცარია)
ოდ გრენლანდი (ნორვეგია)	—	ფეიენოორდი (ჰოლანდია)
ოლბორგი (დანია)	—	ოსერი (საფრანგეთი)
სევილია (ესპანეთი)	—	ნასიონალი (პორტუგალია)
ნოვა გორიცა (სლოვენია)	—	აეკ (საბერძნეთი)
სტანდარდი (ბელგია)	—	ბოხუმი (გერმანია)
ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)	—	ზენიტი (რუსეთი)
ტრაბზონი (თურქეთი)	—	ბილბაო (ესპანეთი)
უიპეშტი (უნგრეთი)	—	შტუტგარტი (გერმანია)
მაკაბი (ფ-თ, ისრაელი)	—	ჰერენვენი (ჰოლანდია)
პანიონიოსი (საბერძნეთი)	—	უდინეზე (იტალია)
ლევსკი (ბულგარეთი)	—	გევერენი (ბელგია)
დინამო (ხორვატია)	—	ელფსბორგი (შვედეთი)
ჰაფნარფიორდური (ისლანდია)	—	ალემანია (გერმანია)
მიდლსბრო (ინგლისი)	—	ბანიკი (ჩეხეთი)
ბრიუგე (ბელგია)	—	შატორუ (საფრანგეთი)
პაოკ (საბერძნეთი)	—	ალკმაარი (ჰოლანდია)
ვენტსპილსი (ლატვია)	—	ამიკა (პოლონეთი)
სოშო (საფრანგეთი)	—	სტაბეკი (ნორვეგია)
ეგალეო (საბერძნეთი)	—	გენჩლერბირლიგი (თურქეთი)
რეინჯერსი (შოტლანდია)	—	მარიტიმუ (პორტუგალია)
ვილიარეალი (ესპანეთი)	—	ჰამარბი (შვედეთი)

გრემ სუნესი

ჰაინკესი და შალკე, ცალკე

„შალკე 04“-მა მწვრთნელი, იუპ ჰაინკესი თანამდებობიდან გაათავისუფლა. მიზეზი: ბუნდესლიგის ახალი სეზონის ცუდი სტარტი. კერძოდ, „შალკემ“ ოთხი თამაშიდან სამი წააგო და ცხრილში ბოლოდან მესამე ადგილზეა. ის, რომ ინტერტოტოს თასის გავლით გელზენკირხენელებმა უეფას თასის ახლანდელ ეტაპს მიაღწიეს, გუნდს წარმატებად არ ჩაეთვალა



იუპ ჰაინკესს გელზენკირხენული დრო ამოეწურა

შეგახსენებთ, რომ იუპ ჰაინკესის ხელმძღვანელობით მადრიდის „რეალმა“ 1998 წელს ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა.

„შალკეს“ აღმასრულებელი მენეჯერი რუდი ასაუერი: „ყველა მონაწილე პირთან საუბრის შემდეგ, მივედით დასკვნამდე, რომ ურთიერთობა მწვრთნელსა და გუნდს შორის დამაკმაყოფილი არ იყო და ვითარება უახლოეს მომავალში გამოსწორებას ითხოვდა. თავად ჰაინკესმაც გაიზიარა კლუბის შეხედულებები“.

დროებითი მწვრთნელის ფუნქციას ასისტენტი ედი ახტერბერგი და ოლივერ რეკი შეასრულებენ. „შალკემ“ 60 წლის წინანდელი დიდების აღსადგენად ბოლო წლებში დიდძალი თანხა გაიღო. მაგალითად, 2001 წელს, კლუბმა 60 ათასიანი სტადიონი აიშენა და იქ, საშინაო მატჩებზე ყველა ბილეთი თუ აბონემენტი აქედანვე გაყიდული აქვს.

გასული სეზონის ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირის, აილტონის „ვერდერისგან“ ყიდვაც ამის დასტურია, ისევე, როგორც იქიდანვე ბოსნიელი მლადენ კრსტაიჩის და „შტუტგარტიდან“ ბრაზილიელი მარსელო ბორდონის გადაყვანაც.

„შალკე 1904“ წელს არის დაარსებული. გერმანიის შვიდგზის ჩემპიონია და 1997 წლის უეფას თასის მფლობელი.

პაპუნა კედია

ბრონდონა ბიანკის უმიზნებს
ბიელსა არგენტინამ გამოფიტა

მარსელო ბიელსა არგენტინას უსახელოდ არ დამშვიდობებია: ოლიმპიური ოქრო მოიგო

„მე არგენტინის ნაკრების მწვრთნელი აღარ ვარ“ — განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მარსელო ბიელსამ. ჩემი ძალა და ენერგია ნაკრებში მუშაობამ შეიწირა და ვგრძნობ, რომ ასე ცხოვრებას ვეღარ გავაგრძელებ“. ამ ცნობამ ნაკრების კაპიტანი რობერტო აიალა ფრიად გააოცა: „ბიელსას გადაწყვეტილება მოულოდნელია, რადგან მან ქვეყანას ახლახან ოლიმპიური ოქრო მოუტანა და თან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები გვაქვს სათამაშო“ — თქვა აიალამ.

მარსელო ბიელსას ხელქვეით არგენტინამ 68 მატჩი გამართა, 42 მოიგო, 16 ფრედ დაასრულა და მხოლოდ ათჯერ წააგო. მის შემცვლელად კარლოს ბიანკის ასახელებენ და ეს ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა ხულიო გრონდონამ დაადასტურა. არგენტინას 10 ოქტომბერს ურუგვაის მატჩი ელის.

ვაჟა ხუციშვილი

საით, ძმაო?!


პაულო აუტორი პერუს ნაკრებიდან არ გაუშვეს

პერუს ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების მწვრთნელს, პაულო აუტორის გადადგომის მოთხოვნა არ დაუკმაყოფილა.

ბრაზილიელი სპეციალისტი თანამდებობიდან გასულ კვირას წავიდა, მას მერე, რაც მსოფლიოს 2006 წლის შესარჩევ შეხვედრაში პერუელებმა არგენტინელებთან წააგეს — 1:3. მწვრთნელმაც ფეხბურთის ფედერაციას შესაბამისი განცხადება აახლა, მაგრამ იქ დოკუმენტზე ხელი არ მოუწერეს, რადგან აუტორის ამ შემოდგომაზე კიდევ ორი თამაში ელის ბოლივიასთან და პარაგვაისთან და პერუელები ამის შემდეგ თუ გაუშვებენ თანამდებობიდან.

პერუს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ხულიო ველასკესი: „ნაკრებს ოქტომბრის თამაშები ცხვირწინ აქვს და ამიტომ მწვრთნელის გასაშვებად ახლა ცუდი მომენტია. გაწეული სამუშაოს ანალიზი კი დიახაც, შესაძლებელია. ერთი სიტყვით, აუტორის სულ მცირე ორი თამაშით ვთხოვთ დარჩენას. მან უკვე გვითხრა, რომ ჩვენს ნათქვამზე დაფიქრდება და ძალიან მალე გვიპასუხებს.“

პაპუნა კედია

ფეხბურთის რუკასთან

ლატვიის ნაკრებისა და „გრასასჰოპერის“ მცველმა იგორს სტეპანოვსმა გასულ უქმეებზე „ბაზელთან“ შეხვედრაში ტრავმა მიიღო. იგი 33-ე წუთზე შეცვალეს, ხოლო „კალიები“ საბოლოოდ თავიანთ ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო ანგარიშით 1:8 დამარცხდნენ. ექიმების თქმით, სტეპანოვსს დაახლოებით 6 კვირა მოუწევს უქმობა. შესაბამისად, იგი ლატვიის ნაკრებს სლოვაკეთთან შეხვედრაში ვერ დაეხმარება. უკვე ცნობილია, რომ ნაკრებს ანდრეის პროხორენკოვსი და მიხაილს ზემლინსკისიც დააკლდებიან.

ჰოლანდიური „ბრედას“ უნგრელი ნახევარმცველი ტამაშ პეტო დოპინგ-კონტროლზე ჩავარდა და 10-მატჩიანი დისკვალიფიკაციითაც დაისაჯა. ფეხბურთელს შემოწმება ჰოლანდიის თასზე პსვ-სთან მატჩის შემდეგ ჩაუტარეს. მან თავი დამნაშავედ არ სცნო, მაგრამ არც განაჩენი გაუსაჩივრებია. იგივე სასჯელი ემუქრებათ სხვა ფეხბურთელებსაც, ვისაც სისხლში აკრძალულ პრეპარატს აღმოუჩენენ.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის გადაწყვეტილებით, ამ სეზონში ინგლისის თასის ნახევარფინალები და ფინალი უელსში, „მილენიუმის“ 75-ათასიან სტადიონზე გაიმართება. კარდიფი ფინალებს უკვე სამი წელია მასპინძლობს, ხოლო ნახევარფინალები იქ პირველად გაიმართება. „მილენიუმის“ კონკურენტები „ვილა პარკი“ (ბირმინგემი), „ჰილსბორო“ (შეფილდი) და „ოლდ ტრაფორდი“ (მანჩესტერი) იყვნენ.

ალჟირის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა და მწვრთნელმა ალი ფერგანიმ თავის კარიერაში მესამედ ჩაიბარა ეროვნული გუნდი. მან ბელგიელი რობერ ვასეჟი შეცვალა, რომელიც გაბონთან სამარცხვინო მარცხის გამო დაითხოვეს. 52 წლის სპეციალისტი ალჟირს 2006 წლის მუნდიალის შესარჩევი ეტაპის ბოლომდე უთავკაცებს. აღსანიშნავია, რომ მის გუნდს გერმანიაში მოხვედრის ძალიან მცირე შანსი დარჩა.

იტალიური „იუვენტუსის“ ჩეხმა ნახევარმცველმა პაველ ნედვედმა სანაკრებო კარიერის დასრულება იუარა. ამის შესახებ ჭორები ჩეხეთისა და ჰოლანდიის მატჩის შემდეგ აგორდა, რომელშიც გუნდის კაპიტანს მუხლის ტრავმის გამო არ უთამაშია. „მართალია, ამ ტრავმამ ხასიათი ძალიან გამიფუჭა და გული ამიცრუა, მაგრამ სანაკრებო კარიერის დასრულებაზე არც მიფიქრია. უბრალოდ, მწვრთნელთან და ექიმებთან კონსულტაციის შემდეგ გადავწყვიტე, ცოტა ხანს დავისვენო და მხოლოდ „იუვენტუსის“ რიგებში ვითამაშო“ — თქვა ნედვედმა.

რუსულ პრესაში ბოლო დროს ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ეროვნულ ჩემპიონატში მომავალი სეზონიდან 16-ის ნაცვლად 18 გუნდი ითამაშებდა. ცოტა ხნის წინ ეს რუსეთის პრემიერლიგის პრეზიდენტმა გეორგი ჩერდანცევმა უარყო: „ამ თემაზე საერთოდ არ გვიმსჯელია და კლუბების გაზრდას არ ვაპირებთ. უბრალოდ, არსებობენ ადამიანები, რომელთაც უნდათ ეს და ცდილობენ, ჭორები აავორონ ჩვენზე ზეწოლის მიზნით“.

შოტლანდიური „რეინჯერსი“ კვლავ ვალების თვლაშია. როგორც გაირკვა, გასულ სეზონში „ჩაფრებმა“ 5,9 მილიონი გირვანქა იზარალეს. სულ კი მათ 72 მილიონი აქვთ გასასტუმრებელი. ეს ფინანსური კრიზისი აშკარად აისახება გუნდის თამაშზეც, რაზეც კლუბის მესვეურებიც საუბრობენ. საინტერესოა, რომ ვალებშია „რეინჯერსის“ მოსისხლე მტერი „სელტიკიც“, მაგრამ „კელტები“ გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში არიან — მათ მხოლოდ 15,8 მილიონის მოძიება მოუწევთ.

ინგლისი

ჩემპიონატი. VIII ტური

ბრაიტონი 0:1 ვულვერჰემპტონი
კარდიფი 0:3 უოტფორდი
ქრიუ 0:2 ქუინზ პარკი
ლესტერი 3:2 შეფილდ იუნ.
პლიმუთი 0:1 ლიდსი
სტოკი 3:2 იფსვიჩი
ვესტ ჰემი 1:0 როტერჰემი
რედინგი 3:1 პრესტონი
სანდერლენდი 2:0 ნოტინგემი
უიგანი 0:0 ბარნლი

სტოკი	8	5	2	1	10:7	17
უიგანი	8	4	4	0	15:7	16
იფსვიჩი	8	5	1	2	16:10	16
ვესტ ჰემი	8	5	1	2	10:8	16
რედინგი	8	5	0	3	10:7	15
უოტფორდი	7	4	1	2	12:5	13
პლიმუთი	8	4	1	3	11:10	13
სანდერლენდი	8	3	2	3	13:9	11
ლიდსი	7	3	2	2	7:5	11
შეფილდი	8	3	2	3	8:7	11
ლესტერი	8	3	2	3	8:8	11
ქუინზ პარკი	8	3	2	3	9:11	11
ბარნლი	8	2	4	2	7:5	10
პრესტონი	8	3	1	4	11:10	10
ქოვენთრი	7	3	1	3	10:9	10
მილუოლი	6	3	1	2	4:4	10
დერბი	7	3	0	4	10:11	9
ჯილინგემი	7	3	0	4	7:12	9
ვულვზი	8	1	5	2	10:11	8
ბრაიტონი	8	2	2	4	6:11	8
ქრიუ	7	1	2	4	11:17	5
ნოტინგემი	8	0	5	3	8:14	5
კარდიფი	8	1	2	5	6:13	5
როტერჰემი	8	0	3	5	2:10	3

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XXIV ტური

ჰიკ 2:2 ლაჰტი

ჰაკა	23	16	5	2	47:14	53
ტამპერე	21	12	4	5	35:18	40
ალიანსი	22	11	5	6	28:25	38
ინტერი	23	11	4	8	39:33	37
ტურკუ	23	11	4	8	31:27	37
მიუპა	23	9	8	6	28:23	35
ლაჰტი	23	8	10	5	32:28	34
ჰიკ	23	7	11	5	34:27	32
კტპ	23	8	7	8	28:25	31
ტპ 47	24	8	4	12	34:39	28
როვანიემი	24	7	4	13	26:41	25
იარო	23	6	3	14	24:41	21
ჯაზი	23	4	5	14	26:49	17
ჰამენლინა	22	2	6	14	25:47	12

შვედეთი

ალსვენსკა. XIX ტური

ჰალმსტადი 2:2 მალმიო

მალმიო	19	10	7	2	33:14	37
გიოტებორგი	19	11	4	4	24:12	37
ჰალმსტადი	19	10	6	3	39:22	36
კალმარი	19	7	9	3	21:15	30
ჰამარბი	19	8	5	6	22:19	29
იურგორდენი	19	7	7	5	26:24	28
ჰელსინგბორგი	19	6	7	6	36:24	25
სუნდსვალი	19	6	7	6	20:21	25
ელფსბორგი	19	6	6	7	18:25	24
აიკ	19	4	6	9	15:25	18
იორებრო	19	4	6	9	20:36	18
ლანდსკრონა	19	3	8	8	18:27	17
იორგრიტე	19	3	8	8	16:26	17
ტრელებორგი	19	2	6	11	14:32	12

სარგებელი კროკ

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ინგლისი. პრემიერლიგა. VI ტური

18 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
15.45	017	არსენალი-ბოლტონი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
18.00	018	ბირმინგემი-ჩარლტონი	1,85	3,2	4,0	1,17	1,26	1,77
18.00	019	ბლეკბერნი-პორტსმუთი	2,15	3,1	3,3	1,26	1,3	1,59
18.00	020	კრისტალ პალასი-სიტი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
18.00	021	ნორვიჩი-ასტონ ვილა	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38
18.00	022	ვესტ ბრომვიჩი-ფულემი	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49

19 სექტემბერი

17.00	023	საუთჰემპტონი-ნიუკასლი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
18.00	024	ევერტონი-მიდლსბრო	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
19.05	025	ჩელსი-ტოტენჰემი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46

20 სექტემბერი

23.00	026	მანჩესტერი-ლივერპული	2,0	3,1	3,6	1,21	1,28	1,66

შოტლანდია. პრემიერლიგა. VI ტური

18 სექტემბერი

18.00	166	დანდი-ლივინგსტონი	2,05	3,2	3,3	1,24	1,26	1,62
18.00	167	კილმარნოკი-აბერდინი	2,35	3,1	2,8	1,33	1,27	1,47
18.00	168	მეზერუელი-დანდი იუნაიტედი	2,15	3,2	3,1	1,28	1,26	1,57

19 სექტემბერი

17.00	169	ჰიბერნიანი-სელტიკი	9,0	5,0	1,25	3,21	1,09	1
18.00	170	დანფერმლაინი-ჰართსი	2,9	3,2	2,25	1,52	1,26	1,32
18.00	171	რეინჯერსი-ინვერნესი	1,1	6,5	17,0	1	1,03	4,7

გერმანია. ბუნდესლიგა. V ტური

18 სექტემბერი

17.30	035	ლევერკუზენი-ნიურნბერგი	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
17.30	036	ჰანზა-ვოლფსბურგი	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
17.30	037	შალკე-მიონხენგლადბახი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
17.30	038	კაიზერსლაუტერნი-ჰამბურგი	2,1	3,2	3,3	1,26	1,28	1,62
17.30	039	დორტმუნდი-ბაიერნი	2,6	3,2	2,45	1,43	1,26	1,38
17.30	040	არმინია-მაინცი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
17.30	041	ვერდერი-ჰამბურგი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19

19 სექტემბერი

19.30	042	ფრაიბურგი-ბოხუმი	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
19.30	043	ჰერტა-შტუტგარტი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4

შვედეთი. სუპერეტა. XXIII ტური

16 სექტემბერი

21.00	401	ჰეკენი-ვესტეროსი	1,55	3,6	5,0	1,08	1,18	2,09

მექსიკა. აპერტურა. V ტური

16 სექტემბერი

23.00	609	პუებლა-სანტოსი	1,7	3,3	4,4	1,12	1,22	1,88
24.00	610	ხაგუარესი-ამერიკა	1,95	3,2	3,4	1,21	1,23	1,64

იტალია. თასი

II ეტაპი I მატჩები

16 სექტემბერი

22.30	649	ატალანტა-რეჯინა	1,9	2,9	4,0	1,14	1,28	1,68

უეფას თასი

III შესარჩევი ეტაპი I მატჩები

16 სექტემბერი

17.30	651	ვენტსპილსი-ამიკა	3,0	3,2	2,25	1,54	1,28	1,32
18.00	652	ტერეკი-ბაზელი	3,1	3,2	2,2	1,57	1,28	1,3
19.00	653	ვისლა-დინამო(თბ)	1,3	4,2	7,5	1	1,1	2,69
19.00	654	მაკაბი(ჰ)-დნიპრო	1,95	3,2	3,6	1,21	1,26	1,69
20.00	655	ზენიტი-ცრვენა ზვეზდა	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
20.15	656	შალკე-მეტალურგსი	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19
20.30	657	შელბურნი-ლილი	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
20.30	658	გორიცა-აეკ	2,9	3,1	2,35	1,49	1,29	1,33
20.30	659	ლევსკი-ბევერენი	1,65	3,4	5,0	1,11	1,24	2,02
21.00	660	გრაცერი-ლიტეკსი	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
21.00	661	მეტალურგი-ლაციო	3,6	3,1	2,0	1,66	1,28	1,21
21.00	662	ოლბორგი-ოსერი	3,2	3,1	2,2	1,57	1,3	1,28
21.00	663	სტიაუა-ცსკა	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
21.00	664	ტრაბზონი-ბილბაო	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
21.00	665	ოდ გრენლანდი-ფეიენოორდი	4,0	3,3	1,8	1,8	1,24	1,16
21.30	666	ვალეო-გენჩლერბირლიგი	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
21.30	667	უტრეხტი-იურგორდენი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
22.00	668	პანიონიოსი-უდინეზე	3,2	3,1	2,2	1,57	1,3	1,28
22.00	669	პარტიზანი-დინამო(ბქ)	1,65	3,4	5,0	1,11	1,24	2,02
22.15	670	დინამო(ზ)-ელფსბორგი	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
22.15	671	ჰამარბი-ვილიარეალი	3,4	3,1	2,1	1,62	1,29	1,25
22.30	672	ბ.ბისტრიცა-ბენფიკა	4,0	3,2	1,85	1,77	1,26	1,17
22.30	673	ბრიუგე-შატორუ	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
22.30	674	უიპეშტი-შტუტგარტი	3,8	3,3	1,85	1,76	1,24	1,18
22.30	675	სტანდარდი-ბოხუმი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
22.30	676	სოშო-სტაბეკი	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
22.45	677	პარმა-მარიბორი	1,22	5,3	11,0	1	1,09	3,57
22.45	678	მილუოლი-ფერენცვაროში	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
22.45	679	ნიუკასლი-ჰაპოელი	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19
22.45	680	აუსტრია-ლეგია	1,8	3,2	4,2	1,15	1,26	1,81
22.45	681	ჰართსი-ბრაგა	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
23.00	682	მიდლსბრო-ბანიკი	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
23.00	683	ბოდიო გლიმტი-ბეშიქთაში	3,5	3,2	2,0	1,67	1,27	1,23
23.00	684	პაოკ-ალკმაარი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
23.00	685	სევილია-ნასიონალი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
23.00	686	სარაგოსა-სიგმა	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
24.00	687	მარიტიმუ-რეინჯერსი	2,5	3,1	2,6	1,38	1,27	1,41
00.30	688	სპორტინგი-რაპიდი	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
00.30	689	ჰაფნარფიორდური-ალემანია	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37

ჰოკეი. ფინეთი

16 სექტემბერი

19.30	1085	ილვესი-ტაპარა	2,7	4,4	1,85	1,67	1,09	1,3
19.30	1086	იუვესკიულე-სეიპა	1,65	4,4	3,4	1,2	1,11	1,91
19.30	1087	კერპეტი-ჰაამეენლინა	1,6	4,4	3,6	1,17	1,1	1,98
19.30	1088	ლუკო-ესეტი	1,65	4,4	3,4	1,2	1,11	1,91
19.30	1089	ტურკუ-ესპოო	1,8	4,4	2,8	1,27	1,09	1,71
19.30	1090	ჰელსინკი-იოკერიტი	2,3	4,2	2,2	1,48	1,12	1,44

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

ანა დოღონაძე

ილიას ილიადისი, იგივე ჯარჯი ზვიადაური

ალექსანდრე დოხტურიშვილი

გიორგი წურწუმია



გივი სისაური

და ექვსი სევდანარევი სიხარული

ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ოთხი დიდი სიხარულის გარდა კიდევ ექვსი სევდანარევიც იყო. გულგაყოფილი ქართველები ხან ჩვენი დელეგაციის სპორტსმენთა გამოსვლებით ვივსებოდით ვნებათაღელვით, ხანაც ჩვენივე მამლუქების ბრძოლებისკენ მიგვარბენინებდა ეს გაყოფილი გული. საქართველოს დელეგაციის ზოგი წევრი იმასაც ნერვიულობდა, მამლუქებმა არ გვაჯობონო. ეს ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და ბოლოს ისევ ყოფილმა ჩვენმა სპორტსმენებმა იმარჯვეს. მათ საქართველოს დელეგაციის ორ ოქროსა და ამდენივე ვერცხლის მედალს სამი პირველი, ერთი მეორე და ორი მესამე ადგილი დაუპირისპირეს. ამით მათ სასწორის პინა მედლების ხარისხისა და რაოდენობის მხრივაც თავიანთ სასარგებლოდ გადახარეს.

გაყოფილ გულთან ერთად იყო გაყოფილი ჩემი ფოტოობიექტივიც. მისი მეორე ნახევრით მიზეზთა გამო საქართველოდან გადახვეწილი სპორტსმენების გამოსვლების გადაღებას ვცდილობდი.

დღევანდელი ფოტორეპორტაჟი სწორედ ჩვენ მამლუქებს ეძღვნება. თუმცა ყველა მათგანს „სარბიელის“ ეს ერთი გვერდი ვერ იტევს. ესენი არიან ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები, ბატუტზე მხტომელი ანა დოღონაძე (გერმანია) და ძიუდოისტი ილიას ილიადისი — იგივე ჯარჯი ზვიადაური, ვისი პორტრეტიც ბერძნებმა, როგორც თავიანთი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონისა, მისი გამარჯვების მეორე დღესვე საფოსტო მარკებზე გამოსახეს; ეს არის ბერძნულ-რომაულად მოჭიდავე ალექსანდრე დოხტურიშვილი, რომელიც უზბეკებმა თავიანთი ფადიშაჰივით ოქრომკედით ნაქსოვი მოსასხამითა და ჩალმით შემოსეს.

ჩვენს ფოტონარკვევშია ვერცხლის მედალოსანი, ასევე ბერძნულ-რომაულად მოჭიდავე გიორგი წურწუმია, რომელიც ყაზახეთის სახელით გამოდიოდა.

რუსებმაც სიამოვნებით მიითვალეს ყოფილი ჩვენი წყალბურთელის, რევაზ ჩომახიძის ლომის წილდადებული ბრინჯაო და ძიუდოისტ თეა დონღუზაშვილის მესამე ადგილი.

მათ გარდა კიდევ ბევრი, ამჯერად უმედლოდ დარჩენილი მამლუქი იყო, მათგან ორს კი ამავე გვერდზე ხედავთ. ესენი არიან ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ოსტატი გივი სისაური, რომელიც კანადელთა სახელით ატლანტის ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორია და ძალოსანი კახი კახიაშვილი, ვინც პირველი ოლიმპიური ოქრო ქართველთა სახელით, მომდევნო ორი კი ბერძნებისთვის მოიპოვა, მაგრამ ახლა, სამწუხაროდ, ხელი მოეცარა. მანამდე კახი კახიაშვილს მისმა ახლანდელმა თანამემამულეებმა დიდი პატივი დასდეს, როცა ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე 75 ათასი მაყურებლის წინაშე ერთ-ერთ ოლიმპიურ მეჩირაღდნედ წარმოგვიდგინეს.

და ეს სევდანარევი სიხარული მუდამ უნდა გვახსოვდეს, რათა მამლუქთა რიგები აღარ შეივსოს.

ავთანდილ გურასაშვილი

ავტორის ფოტოები



კახი კახიაშვილი

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲐᲡᲘ. ᲗᲘᲗᲜᲐᲠᲘ. ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ 25 000 $

ᲥᲐᲠᲗᲣ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲘᲪᲐᲚᲐ





ᲖᲣᲠᲐᲑ ᲓᲣᲚᲣᲠᲘᲫᲔᲜᲘᲡ ფოტოები

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ თათია მიქაძეს მეოთხედფინალში ირინა კუზმინა შეხვდება

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲠᲔ

ᲝᲚᲒᲐ ᲚᲐᲖᲐᲠᲩᲣᲙᲘ (1, უკრაინა) — **ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲨᲐᲛᲐᲘᲙᲝ** (რუსეთი) 6:1, 6:3; **ᲐᲜᲐ ᲑᲐᲡᲢᲠᲘᲙᲝᲕᲐ** (6, რუსეთი) — **ᲐᲥᲡᲐᲜᲐ ᲚᲘᲣᲑᲪᲝᲕᲐ** (უკრაინა) 6:4, 6:3; **ᲘᲠᲘᲜᲐ ᲙᲣᲖᲛᲘᲜᲐ** (ლატვია) — **ᲢᲐᲢᲘᲐᲜᲐ ᲣᲕᲐᲠᲝᲕᲐ** (4, ბელარუსი) 7:6(7:5), 2:6, 6:3; **ᲗᲐᲗᲘᲐ ᲛᲘᲥᲐᲫᲔ** (საქართველო) — **ᲘᲐᲜᲐ ᲚᲔᲕᲩᲔᲜᲙᲝ** (უკრაინა) 7:6 (8:6), 6:2; **ᲛᲐᲢᲘᲚᲓᲐ ᲘᲝᲰᲐᲜᲡᲝᲜᲘ** (საფრანგეთი) — **ᲔᲚᲔᲜᲐ ᲕᲔᲡᲜᲘᲜᲐ** (3, რუსეთი) 7:5, 4:6, 6:3 **ᲙᲐᲢᲐᲠᲘᲜᲐ ᲙᲐᲩᲚᲘᲙᲝᲕᲐ** (7, სლოვაკეთი) — **ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲧᲐᲕᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (საქართველო) 4:6, 6:4, 6:4; **ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲐ ᲘᲐᲙᲘᲛᲝᲕᲐ** (2, ბელარუსი) — **ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲐ ᲙᲝᲨᲝᲮᲘᲜᲐ** (რუსეთი) 6:1, 6:1; **ᲛᲐᲠᲘᲐ ᲙᲝᲜᲓᲠᲐᲢᲘᲔᲕᲐ** (5, რუსეთი) — **ᲘᲐ ᲯᲘᲥᲘᲐ** (საქართველო) *3:2-ᲖᲔ ᲯᲘᲥᲘᲐᲛ ᲨᲔᲬᲧᲕᲘᲢᲐ*

შაბაშ, „ქართუ ბანკის“ ტურნირს ჩემპიონი აღარა ჰყავს. ისევ საჩემპიონოდ შემართულმა, მუდამ მომღიმარმა სოჭელმა ელენა ვესნინამ გუშინ ცრემლები დაგვანახა. მისთვის გადაულახავი ბარიერი აღმოჩნდა ფრანგული დროშის ქვეშ მოჩოგნავე მატილდა იოჰანსონი. რუსგოგოს ისე ეთამაშა, მაყურებლის სიმპათია დაიმსახურა და თუ პირველ სეტში მის ჩაგდებულ ბურთს ოდენ მწვრთნელი და ერთი-ორი აქაური უკრავდა ტაშს, მესამეში ყველა შინაურივით ქომაგობდა.

სოჭელი ლენას მხარდამჭერები კი მისი კოლეგა თანამემამულეები და რამდენიმე ბელარუს-უკრაინელი მწვრთნელ-ჩოგბურთელი იყო. ბელარუსების გვესმის, მაგრამ ვერაფრით გავიგეთ, ნებისმიერ რუსულ-უცხოურ შეხლაში უკრაინელები რუსებს რატომ ქომაგობენ. თან ამას ერთი შეხედვით ქართველთა დასანახად და გასაღიზიანებლად აკეთებენ. ასე იყო თუ ისე, იოჰანსონმა სტუმრები ჩააწყნარა.

მეორე იმედგაცრუება ჩრდილოელებსა და მათ გულშემატკივრებს ლატვიელმა ირინა კუზინამ არგუნა. ძირითად ბადეში საკვალიფიკაციოდან შესულმა 18 წლის რიგელმა მეოთხე ნომრად განთესილი ბელარუსი ტატიანა უვაროვა იმსხვერპლა. კუზმინას თამაში აშკარად ღირს საყურებლად. მეორე ტურნირია, საკვალიფიკაციოდან იწყებს და ერთმანეთზე ძლიერ მეტოქეებს აშალითებინებს ჩოგნებს. სხვანაირი კენჭისყრის შემთხვევაში ეგებ დღესაც კუზმინასთვის ექომაგათ თბილისელებს. მეოთხედფინალში მას ტურნირს შემორჩენილი ერთადერთი ჩვენებური თათია მიქაძე რომ არ ხვდებოდეს.

მიქაძემ გუშინ ორ სეტში გატეხა უკრაინელი იანა ლევჩენკო. დაძაბული მხოლოდ პირველი სეტი გამოდგა, რომელშიც თათიამ ტაიბრეიკში იმარჯვა, მეორეში კი მეტოქეს მჩოდნად ორი ბეღელი აჩუქებინა.

ჩვეულად იბრძოლა თინათინ ყავლაშვილმა და ბოგებასაც ისახურებდა, თუმც გამოცდილმა სლოვაკმა კატარინა კაჩლიკოვამ ეშმაკობით აჯობა. მესამე სეტში სლოვაკი 5:0 დაწინაურდა და ალბათ უკვე მეოთხედფინალზე ფიქრობდა, როცა ქართველმა სხვაობის შემცირება იწყო. ნახევარ საათში ანგარიში უკვე 5:4 იყო, ყავლაშვილი კი ისე თამაშობდა, გამარჯვებას წუთებიღა აცილებდა.

კაჩლიკოვამ გასეირნება ითხოვა და როცა მსაჯმა ნება არ დართო, ტურნირის კომისარი გამოიძახა. კომისარმა ჩოგბურთელის თხოვნის შესრულება ბრძანა და სანამ სლოვაკმა მოიტუალეტა, ის ქართული მუხტი სადღაც გაქრა. კორტზე დაბრუნებულმა სტუმარმა თავისი მოწოდება გამოიყენა და ყველაზე მებრძოლი ქართველი დაგვიმართხა. ეს შეხვედრა სამ საათსა და ოც წუთს გაგრძელდა, ხოლო გუშინწინ ყავლაშვილმა ერთხელაც შეგახსენებთ, სამ საათსა და ორმოც წუთში მოიგო.

ნახევარი საათიც არ დასჭირვებია ჩოგნის ქნევა „ბორჯომის თასის“ ჩემპიონ კონდრატიევას. როგორც გუშინ ვივარაუდეთ, ია ჯიქიას მუხლის ტრავმამ თამაშის ჩამთავრების საშუალება არ მისცა. როცა მან ბრძოლა შეწყვიტა, რუსი 3:2-ს იგებდა.

ᲝᲗᲐᲠ ᲗᲐᲚᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔ

ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲚᲐᲖᲐᲠᲩᲣᲙᲘ — ᲑᲐᲡᲢᲠᲘᲙᲝᲕᲐ
ᲛᲘᲥᲐᲫᲔ — ᲙᲣᲖᲛᲘᲜᲐ
ᲙᲝᲜᲓᲠᲐᲢᲘᲔᲕᲐ — ᲘᲝᲰᲐᲜᲡᲝᲜᲘ
ᲙᲐᲩᲚᲘᲙᲝᲕᲐ — ᲘᲐᲙᲘᲛᲝᲕᲐ



სენსეი სუძუკი: ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲝᲛᲐᲜᲘᲐᲛ ᲩᲐᲒᲕᲧᲚᲐᲞᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲘᲜ ᲕᲒᲠᲫᲜᲝᲑ

კარატე-დოს ცოცხალი ლეგენდა, ვადო-რიუს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, მე-8 დანის მფლობელი იაპონელი ტაცუო სუძუკი ახალგაზრდა ბერძენი მეუღლითურთ მეორედ ესტუმრა თბილისს. მისი ვიზიტის მიზანი შარშანდელივით ქართველი კარატისტებისთვის სემინარის ჩატარება იყო. თუმც იაპონელ სენსეის წლეულს უფრო დატვირთული კვირეული ჰქონდა: ორი სემინარიც ჩაატარა და სპორტკომპლექს „ქარიშხალში“ ვადო-რიუში კავკასიის ღია ჩემპიონატსაც თვალს არ აცილებდა

მიხეილ მახარაძე და ტაცუო სუძუკი მეუღლითურთ

ამ ღონისძიებების ორგანიზატორი საქართველოს კარატე-დოს კავშირი, ხოლო უშუალო ორგანიზატორი საქართველოს ვადო-ინტერნაციონალ კარატე-დოს ფედერაცია გახლდათ, რომლის პრეზიდენტი მიხეილ მახარაძეა: „პოლიტიკური ვითარების გამო წლევანდელი კავკასიის ღია ჩემპიონატზე მხოლოდ სომხები გვესტუმრნენ — ამბობს მახარაძე — თუმც გაისად არა მარტო კავკასიელები, არამედ სხვა ქვეყნის წარმომადგენლებიც ჩამოვლენ. დიდ მადლობას ვუხდი სპორტკომპლექს „ქარიშხალას“ დირექტორ კახა დევდარიანს, რომელიც ყურადღებას არ გვაკლებდა. შეჯიბრებამ კი მართლაც მაღალ დონეზე ჩაიარა. ეს ჩემპიონატი კარგი მოსამზადებელი ციკლი იყო ევროპის პირველობისთვის, რომელიც სულ მალე ესპანეთში გაიმართება. განსაკუთრებით ჩვენი ბავშვებიდან მინდა გამოვარჩიო თათია მელუა, თამარ მახარაძე, ქეთევან ჭურდაძე, ტატა შვანგირაძე, ზურაბ მამაგულაშვილი, გოგიტა არქანია და დათა ჯანაშვილი.“

„76 წლის ვარ და აქედან 62 წელი კარატეთი ვცხოვრობ. კიდევ ვვარჯიშობ, ჩემი ტექნიკა ჯერ სრულყოფილი არ არის“ — ეს რომ გვითხრა, გვეგონა, ხუმრობდა, მაგრამ ტაცუო სუძუკი დღეში მინიმუმ ორ საათს ონავარი ბავშვივით დარბის, დახტის და სიმძიმეებს ეწევა. სენსეისთან საინტერესო საუბარი გამოგვივიდა:

— გასულ წელთან შედარებით, წინსვლა შეიმჩნევა. ქართველების საბრძოლო სული ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. თქვენებს აქვთ ის სულისკვეთება, რაც იაპონელებში ნელ-ნელა კვდება. როდესაც ჩვენთან ომი დასრულდა, ტრადიციებიც შეიცვალა და ამერიკულმა ცხოვრების წესმა ყველაფერი ჩაყლაპა.

— ანუ ქართველები იაპონელებზე მაგრები ვართ?

— რატომ გიკვირთ? მრცხვენია ამის თქმა, მაგრამ ქართველებში სამურაის სისწრაფეებს ვხედავ, იაპონელ ახალგაზრდებს კი აღარ შეუძლიათ ამის ატანა, პატარა მირტყმაზეც სტკივათ და იგრიხებიან. ერთადერთი, ტექნიკით ჩამოვგრჩებით, თორემ შეუპოვრობაში მაგრად გაგვისწარით.

— ვითომ მხოლოდ ამერიკელების ბრალია? აბა, ძიუდოში როგორ შეინარჩუნეთ ტრადიციები?

— ცდებით, ძიუდოც ცუდისკენ შეიცვალა. ადრე უფრო მეტი წარმატებები გვქონდა, ახლა კი ოლიმპიადაზე მხოლოდ 3 ოქრო ავიღეთ ძიუდოში. ამერიკული წეს-ჩვეულებების დანერგვამ ყველაფერი შედეგზე გადაიყვანა და ახლა სპორტი ჩხუბს უფრო ჰგავს...

— თქვენ სხვა ქვეყნებშიც ხშირად დადიხართ და ალალად გვითხარით, ქართველი კარატისტები მათ შორის თუ გამოირჩევიან?

— ულაპარაკოდ. მონდომებაც და დონეც აქ უკეთესია.

— ქართველი ხალხი როგორ მოგწონთ?

— ძალიან კეთილ, თბილ სახეებს ვხედავ. ყველაფერს მომიყვნენ თქვენს მდიდარ ტრადიციებზე. მოვიარე ქალაქები და ყველგან ვიგრძენი სტუმართმოყვარეობა. საქართველოში, როგორც სახლში, ისე ჩამოვდივარ.

— ქართულ სამზარეულოზე რას იტყვით?

— არ მომწონს, უფრო სწორად, ვერ შევეჩვიე. რა ვქნა, ხორცსა და ყველს არ ვეტანები, თორემ დაწუნებით არაფერს გიწუნებთ.

— საქართველოში ყოფნისას ყველაზე მეტად რამ გაგაკვირვათ?

— ძალიან სწრაფად დადიან მანქანები და ამ დროს ხალხი ქუჩაზე გადადის. იმ დღეს ვიღაც ბიჭმა ისე გადაურბინა წინ მიმქროლავ მანქანას, კინაღამ თვალები შუბლზე ამივიდა.

ᲘᲚᲘᲐ ᲜᲐᲜᲝᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



REUTERS ტორონტოდან



სუპერმარიოს აწი შეუძლია, მშვიდად წავიდეს პენსიაზე, ნჰლ-ში მაინც ლოკაუტი მძვინვარებს

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲛᲐᲗᲘᲐ

ᲙᲐᲜᲐᲓᲐ ᲓᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲙᲐᲜᲐᲓᲐ

2004 წლის მსოფლიოს თასი მოლოდინისამებრ დასრულდა — თავიდანვე ფავორიტად მიჩნეულმა კანადამ ტრიუმფით გაიარა მთელი ტურნირი, უკლებლივ ყველა მატჩი მოიგო და თასის ისტორიაში მეხუთედ იმარჯვა. კანადელებმა მათთვის ერთობ იღბლიან ქალაქში ტორონტოში დააჩოქეს ფინეთი. სადღეისოდ მსოფლიოს მთელი „ოქრო" (ოლიმპიადა, მსოფლიოს ჩემპიონატი, თასი) მათ ყულაბაში ჩხრიალებს — ჰოკეის სამყაროს კანადა მართავს

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ. 14 სექტემბერი. ტორონტი

ᲙᲐᲜᲐᲓᲐ 3:2 ᲤᲘᲜᲔᲗᲘ *1:1 1:1 1:0*

1:0 საკიკი (1), 1:1 ჰალი (7), 2:1 ნიდერმაიერი (24), 2:2 ტ. რუუტუ (39), 3:2 დოუნი (41)

ბროდო; ნიდერმაიერი-რეჟე, ფუტი-ბრიუერი, ჰენანი-ბოუმისტრი; ლეშიე-საკიკი-იგინლა, დოუნი-ტორნტონი-დრეიპერი, განიე-რიჩარდსი-სან ლუი, ჰიტლი-ლეკავალიე-სმიტი

კიპრუსოფი; ნუმინენი-ტიმონენი, სალო-ვაანანენი, ბერგი-ლუდმანი; სელიანე-კოივუ-ლეჰტინენი, პელტონენი-იოკინენი-რუუტუ, ელორანტა-ჰალი-რუუტუ, ჰაგმანი-კაპანენი-ჰენტუნენი

2004 წლის მსოფლიოს თასმა დასამახსოვრებელი ფურცელი ჩაწერა ჰოკეის ისტორიაში. ეს იყო ტურნირი, რომელსაც დავიწყება არ უწერია და ამის დასტურად მარტო ფინალიც კმარა. მადლობა ფინეთს. სწორედ ფინელების დამსახურებაა, რომ ფინალში კანადელთა იოლი მოგების კი არა, უკომპრომისო ბრძოლის მოწმენი გავხდით. „სუომელებმა" ორჯერ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება და მეორე შესვენების შემდეგ სპეციალისტები გაოგნებულნი დატოვეს, მატჩის მიწურულს კი 20 ათას კანადელ ქომაგს დარჩენილი წამები ათვლევინეს. ხალხმა შვებით მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა, სირენის ხმა რომ გაისმა. კანადელებმა სიხარული განსაკუთრებული ემოციებით გამოხატეს. ასეა, რაც უფრო გიძნელდება მოგება, მით უფრო დიდია სიხარული.

დასაწყისი კი თითქოს „მძიმე ცხოვრებას" არ უქადდა კანადას. პირველივე წუთზე გაიბრწყინა მარიო ლემიემ. ვეტერანი დღითი დღე უმატებდა, ფინალი კი მისი საუკეთესო მატჩი გამოდგა. „სუპერმარიომ" შესანიშნავი ფინტით ჩამოიცილა მცველი, მეტოქის ზონაში შეიჭრა და შაიბა პირდაპირ ჯო საკიკის ფეხთან დასვა. საკიკმაც აღარ დააყოვნა და საფირმო დარტყმით დალაშქრა ფინელთა კარი — 1:0.

ეს მოხდა სულ რაღაც 52-ე წამზე და სტუმრები ლამის პანიკაში ჩაცვივდნენ, მაგრამ მათი პირველივე შეტევის მცდელობა მოულოდნელად გოლად იქცა. რიკუ ჰალმა შაიბას ისე შეუცვალა მიმართულება, რომ ვერავინ შეამჩნია, თვით მსაჯებსაც კი გაუჭირდათ გარკვევა, მხოლოდ შესვენებაზე დაადგინეს გოლის ავტორის ვინაობა. ამის შემდეგ მატჩი სრულიად თანაბარ ბრძოლაში გაგრძელდა. ორივე გუნდი საკმაოდ ფხიზლობდა.

მეტოქეებმა მეორე პერიოდშიც გაცვალეს გოლები. ოღონდ კანადელი სკოტ ნიდერმაიერის შაიბა მთლიანად ფინელთა მეკარე მიკა კიპრუსოფის სინდისზეა. ბორტიდან დარტყმული შაიბა მან ფეხებს შუა გაატარა. აი, ტუომო რუუტუმ კი ნამდვილი გოლი-შედევრი შექმნა — ერთი ცრუმოძრაობით ერთბაშად ორი მცველი ჩამოიცილა, მერე კიდევ ერთს გასცდა და ზუსტადაც გაისროლა. ამრიგად, ბოლო მესამედში ძნელი იყო იმის თქმა, რომ აუცილებლად კანადა იმარჯვებდა, მაგრამ პერიოდის დასაწყისი კვლავ კოშმარად იქცა ევროპელთათვის. გამოირჩა ჯო ტორნტონის ტრიო ანუ „დდტ ხაზი", რომელსაც ძირითადად მეტოქეთა ლიდერების გაუვნებლება ევალებოდა. ტორნტონის ზუსტი პასის შემდეგ შეინ დოუნი კიპრუსოფს ოსტატურად გაუმკლავდა.

ეს გოლი ფინელებმა ვეღარ გაქვითეს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი იწვალეს და კანადელთა ქომაგებს არაერთი მძიმე წუთი გადაატანინეს. დოუნის გოლი „ოქროსი" გამოდგა, რომელმაც ჰოკეის სამშობლოს 13-წლიანი პაუზის შემდეგ მოუტანა მსოფლიოს თასი.

„ბავშვობიდან ყველაზე საოცნებო ჩვენთვის სტენლის თასი იყო, დღეს ასეთივე სიხარული განვიცადე, მთელი ეს გრძელი გზა, მომზადება და კარგი თამაში დაგვიფასდა" — დაღლილი, მაგრამ უზომოდ ბედნიერი იყო მარიო ლემიე მატჩის შემდეგ.

ტურნირის უძვირფასეს მოთამაშედ ვენსან ლეკავალიე აღიარეს. 2004 წელი „ტამპას" ლიდერისთვის ყველაზე ბედნიერი გამოდგა — სტენლის თასს მსოფლიოს თასიც დაამატა. არადა, ლეკავალიე თავდაპირველად განაცხადში არც კი იყო და შემადგენლობაში მხოლოდ სტივ აიზერმანის ტრავმის გამო მოხვდა.

ᲡᲐᲛᲒᲔᲚ ᲦᲐᲠᲘᲑᲘᲐᲜᲘ

ᲐᲕᲢᲝᲠᲑᲝᲚᲐ



ᲖᲐᲣᲑᲔᲠᲨᲘ ᲠᲐ ᲒᲘᲜᲓᲝᲓᲐ?

ᲕᲘᲚᲜᲔᲕᲘ ᲬᲐᲡᲐᲒᲔᲑᲐᲓ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

გუშინ მეფორმულეებმა ინგლისის და ესპანეთის ტრასებზე ვარჯიში გააგრძელეს. „უილიამსის" პილოტ რალფ შუმახერის დაბრუნებაზე უკვე ვიუწყებოდით. დავამატებთ, რომ ავარიის გამო ექვსი ეტაპის გამომტოვებელმა პატარა შუმიმ „სილვერსტოუნზე" ტესტების პირველ დღეს 32 წრე გაიქროლა და 11 მრბოლს შორის საუკეთესო დროც აჩვენა.

გუშინვე ოფიციალურად გაფორმდა ჟაკ ვილნევის სენსაციური კონტრაქტი „ზაუბერთან". შარშან BAR-დან გაშვებულმა მსოფლიოს 1997 წლის ჩემპიონმა სურვილი აისრულა და „სამეფო რბოლებს" დაუბრუნდა, თუმც მის მილიონობით ფანებს თავიანთი კერპი გაცილებით ჯანიან-ამბიციურ საჯინიბოსთვის ემეტებოდათ. თანაც 33 წლის კანადელი „სილვერსტოუნზე" ორდღიან ტესტებს ჩაატარებს „ზაუბერზე" ძლიერ „რენოს" ბოლიდით და, როგორც ამბობენ, ჩემპიონატის დარჩენილ სამ ეტაპზე შეცვლის გუნდიდან აბარგებულ იარნო ტრულის. ეს რენოელთა შეფ ფლავიო ბრიატორეს საკმაოდ მოულოდნელი გადაწყვეტილებაა. ფრანგულ საჯინიბოს იტალიელი ბოსი სეზონის გასრულებას არ დაელოდა და 31 წლის თანამემამულე მოხსნა. ახირებულ ფლავიოს რას გაუგებ, თორემ მსოფლიოს ჩემპიონის მხოლოდ სამ რბოლაში მიწვევა რა ბედნაა, ბარემ საგაისოდ დაეტოვებინა ჟაკი თავისთან.

ასეა თუ ისე, ვილნევის ორწლიანი კონტრაქტი პეტერ ზაუბერის გუნდთან პირველ ნოემბრიდან შევა ძალაში და, როგორც ამბობენ, მულტიმილიონერ პილოტს 20 მილიონი დოლარით გაამდიდრებს.

ᲒᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔ

მაკედონია 81:77 საქართველო

15 სექტემბერი. სოფია. „გრაცანი ჰარეი"

	23:22	19:13	21:22	18:20

მაკედონია: სტეფანოვი (1), ტასოვსკი (6), კურტოვიჩი (18), გეჩევსკი (19), ჯონსი (19); დიმიტოროვსკი (7), სამარდიევი (6), ბლაჟევსკი (4), შიმიჩი (1)

საქართველო: უილიამსი (27), ცინცაძე (5), მარკოიშვილი (4), ბოისა (17), ფაჩულია (15); ცქიტიშვილი (9), ბერძენიშვილი, კილაძე

მაკედონიას ბევრი აკლდა, ჩვენ უფრო მეტი

გუშინ საქართველოს ნაკრები დამარცხდა ევროპის საშუალოზე დაბალი დონის გუნდთან, რაც იმას ნიშნავს, რომ დრაჟენ ბრაიკოვიჩის ნაკრებს კონტინენტის ელიტარულ დივიზიონში, სადაც აღზევება უკვე ეჭვქვეშაა, ჯერჯერობით არაფერი ესაქმება.

მაკედონია ნბა-ელებით გაძლიერებულ ქართველებს გვარიანი დანაკლისით დაუხვდა. ამ ქვეყნის ფედერაციას ფული არ აქვს, თუნდაც ევროპაში მოთამაშე კალათბურთელები რომ დააზღვიოს და სკოპიეში ჩასული ვრბიცა სტეფანოვიც ზედ მატჩის წინ გაბრუნდა იტალიაში. მაკედონიელებს არ ჰყავდათ არც ბარსელონელი ვლადო ილიევსკი და არც უცნობილესი პეტარ ნაუმოსკი, მაგრამ შიდაჩემპიონატში მოთამაშე ისე რა კალათბურთელებითა და ევროპაშიც კი არაფრით ცნობილი ამერიკელი კენიონ ჯონსით იოლად დაამარცხეს ლეგიონერებით გაძეძგილი საქართველოს ნაკრები. ბრაიკოვიჩი გადარჩა ფინეთთან თბილისში და სიმართლე ითქვას, ის გადარჩა სკოპიეშიც, რაკი მაკედონიას რომ ლიდერთა ტრიო ჰყოლოდა, აბურდულად მოთამაშე ბრაიკოვიჩის სამწყსოს ერთი ამოსუნთქვით გააცამტვერებდა.

მეტი რა საჩუქარი უნდოდა ბრაიკოვიჩს, ნბა-ელებითა და ევროლეგიონერებით სკოპიეს „რაბოტნიჩკის" (უმეტესობა სწორედ ამ გუნდიდანაა) გუნდს ეთამაშებოდა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა და ახლა ეგებ ყველა თამაშის მოგებაც აღარ ეყოს ჯგუფიდან გასასვლელად.

ქართველებს შეეძლოთ ამ თამაშის მოგება. ისინი, მეტოქის შემადგენლობიდან გამომდინარე, ვალდებულნიც კი იყვნენ, ემარჯვათ, მაგრამ ვერ დაიცვეს კალათბურთის ელემენტარული დისციპლინა — პერიმეტრი ფინელებთან მატჩის დარად მოღიავებული ჰქონდათ და როცა ამ ხარვეზის გამოსწორება სცადეს, უკვე ფარქვეშ დაიჩაგრნენ.

არადა, ფინეთთან ისე გამოჩნდა, თითქოს საქართველოს ნაკრებს ფარქვეშთში პრობლემები არ ჰქონდა. სკანდინავიელებმა ცხვირი ვერ შემოყვეს ქართველთა სამწამიანში, მაკედონიამ კი 204-სანტიმეტრიანი ძონძროხა ცენტრით აგვიკლო და ზაზა ფაჩულიამ გვარიანი დრო სათადარიგოებში რომ გაატარა, ამ ნატურალიზებული ამერიკელის დამსახურებაა.

თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში გაწყვეტილი იყო ძაფი წინა და უკანა ხაზს შორის, ქართველებმა ერთი სწრაფი შეტევა ვერ განახორციელეს, როცა მაკედონიელები იმას აკეთებდნენ, რასაც თამაშის მსვლელობა კარნახობდა. მასპინძლები სამიანებს ზუსტად ისროდნენ და ასეთივე წარმატებით აგებდნენ თამაშს ამერიკელ ცენტრზე, რომელმაც დასაწყისში აშკარად აჯობა ფაჩულიას და როცა მეორე მეოთხედში ფარქვეშეთს წოწოლა ტოდორ გეჩევსკიც გაუშინაურდა, ქართველთა საქმე ერთიანად წახდა.

საწყისი მეოთხედი „ხუთჯვაროსნებმა" ქულით წააგეს და მეორე ათწუთეულში საერთოდ აირივნენ. ფაჩულიას ნაცვლად მოედანზე გასულმა კილაძემ და შემდეგ ბერძენიშვილმა ვერაფერი მოუხერხეს აღტკინებულ კენიონ ჯონსს და ტაიმის გასრულებამდე 5 წუთით ადრე 9 ქულით ჩამორჩნენ — 29:38. ამ დროს ფაჩულიამ მე-4 პერსონალური მიიღო და მოედანზე ნიკოლოზ ცქიტიშვილი გამოჩნდა, რომლის აქტიურობამ დიდი შესვენების შემდეგ მოიტანა შედეგი.

„ცქიტო" აქტიურად ჩაერთო თამაშში, ერთხელ ჩატენა, იქით სამიანი გაისროლა და ანგარიშმაც ლღობა იწყო. გამოცოცხლდა ქართველთა დაცვაც. მოუსვენარმა გიორგი ცინცაძემ რამდენიმე ბურთი ჩაჭრა, სამიანიც ჩააგდო და შემონდ უილიამსმა მესამე მეოთხედის დასრულებამდე სამიოდე წუთით ადრე ანგარიში გაათანაბრა — 55:55.

ეს იყო ქართველთა შანსი, ბოლომდე მიწოლოდნენ მეტოქეს და გადამწყვეტი მეოთხედის წინ საიმედო უპირატესობა დაებევებინათ. მაგრამ ჩვენმა კალათბურთელებმა სწორედ ასეთ საპასუხიმგებლო მომენტში მოინდომეს „პროფესორობა", არაერთი უაზრო ბურთი დაკარგეს და დაისაჯნენ. იმავ გეჩევსკიმ სამიანი ჩააგდო, კურტოვიჩიც გაძვრა-გამოძვრა სამწამიანში და მაკედონია 6-ქულიანი ჰანდიკაპით გავიდა უკანასკნელ შესვენებაზე.

ბოლო მეოთხედში ქართველები უფრო მობილიზებულები გავიდნენ მოედანზე, მაგრამ მეტოქის სწრაფ და კომბინაციურ თამაშს გასაღები ვერაფრით მოარგეს. უამრავი შეცდომა მოედნის ორივე მხარეს, ფარღალალა დაცვა და არაორგანიზებული შეტევა — აი, ქართველთა თამაშის მანერა გადამწყვეტ მომენტში. მიუხედავად თამაშის მდარე ხარისხისა, ხან შემონდ უილიამსის სამქულიანებით და ხან ვლადიმერ ბოისას შედეგიანი გარღვევებით ქართველები კუდიდან არ მოსშორებიან მაკედონიელებს, ბოლო წუთებზე მათ გათანაბრების შანსიც კი მიეცათ. მაგრამ ჯერ ცქიტიშვილმა გააცუდა სამიანი და ვერც ვოვა ბოისამ ჩააგდო გამათანაბრებელი. მაკედონიელებმა კი კონტრშეტევებზე იხეირეს.

ბოლო წუთზე ეგებ მსაჯებმაც წააშველეს ხელი მასპინძლებს, მაგრამ სტუმრად თამაშისას ეს ჩვეული მოვლენაა და გასამართლებელ საბუთად ძნელად თუ გამოადგებათ „ხუთჯვაროსნებს". გადამწყვეტ მომენტში საქართველოს ნაკრებს არ ეტყობოდა, რომ რაიმე კონკრეტულ გეგმას მისდევდა, ყველაფერი სპონტანურად და სრულიად გაუმართლებლად ხდებოდა. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ენდშპილში მასპინძლებმა იმარჯვეს და ფინეთთან ბეწვის ხიდზე ნავალი საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობას თავსატეხი გაუჩინეს.

დღეს ქართველები ლუქსემბურგში გაფრინდებიან და 18 სექტემბერს ალბათ იოლად მოუგებენ მასპინძლებს, მაგრამ... ოდნავ ძლიერი მეტოქის დამარცხება ქართველებს ჯერაც სასწავლი აქვთ.

ირაკლი პერტაია

ზაზა ფაჩულიამ ადრეულად აკრიფა პერსონალურები

დრაჟენ ბრაიკოვიჩს ამ თამაშმა ალბათ ბევრი კითხვა დაუტოვა

ნიკოლოზ ცქიტიშვილის აქტიურობამ მეორე ნახევარში ანგარიში გაგვათანაბრებინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადრი ჯეჯელავის ფოტო

ჩემპიონთა ლიგა 2004-2005

ჯგუფური ეტაპი. I ტური. წესელ

A ჯგუფი

ლივერპული 2:0 მონაკო

1:0 სისე (22), 2:0 ბაროში (87)

ლივერპული: დუდეკი, ხოსემი, კარაგერი, ჰიიპია, რიისე, ფინანი, ჯერარდი, ხაბი ალონსო, კიუელი (უორნოკი 77), ლუის გარსია (ბიშკანი 87), ჯ. სისე (ბაროში 69)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

მონაკო: რომა, გივე (ელ ფაკირი 80), სკილაჩი, ჟ. როდრიგესი, ევრა (ს. კამარა 46), ფარნერუდი, ზიკოსი, დ. პერესი (ჯ. ჟუანი 89), მაიკონი, კალონი, ადებაიორი

მწვრთნელი: დიდიე დეშანი

გაფრთხილება: ზიკოსი, ჯერარდი, გივე

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

33 517 მაყურებელი

დეპორტივო 0:0 ოლიმპიაკოსი

დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, ჟორჟე ანდრადე, მ. სესარი, რომერო, სკალონი, სერხიო, მუნიტისი (ექტორი 89), ვალერონი, ლუკე (ფრანი 71), პანდიანი

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, პანტოსი (კოსტულასი 89), შურერი, ანატოლაკისი, ვენეტიდისი, სტოლტიდისი, კაფესი, გეორგატოსი (გეორგიადისი 85), რივალდო, ჯოვანი (მავროგენიდისი 77), ოკასი

მწვრთნელი: დუშან ბაევიჩი

გაფრთხილება: კაფესი, პანდიანი, ოკასი, სესარი

მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

24 000 მაყურებელი

ლივერპული	1	1	0	0	2:0	3
დეპორტივო	1	0	1	0	0:0	1
ოლიმპიაკოსი	1	0	1	0	0:0	1
მონაკო	1	0	0	1	0:2	0

B ჯგუფი

ლევერკუზენი 3:0 რეალი

1:0 კრუინოვეკი (39), 2:0 ფრანცა (50), 3:0 ბერბატოვი (55)

ლევერკუზენი: ბუტი, შნაიდერი, ჟუანი, როკე ჟუნიორი, პლასენტე, ფრაიერი (ბიროფკა 84), რამელო, პონტე (ბალიტჩი 80), კრუინოვეკი, ბერბატოვი, ფრანცა (ბაბიჩი 69)

მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

რეალი: კასილიასი, სალგადო, პავონი, სამუელი, რობერტო კარლოსი, ფიგუ (სელადესი 58), ბექემი, ელგერა, ზიდანი (მორიენტესი 46), რაული, რონალდო (სოლარი 58)

მწვრთნელი: ხოსე ანტონიო კამაჩო

გაფრთხილება: სამუელი, პავონი, ბალიტჩი, მორიენტესი, რაული

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

22 500 მაყურებელი

რომა — დინამო

0:1-ზე ჩაიშალა

ლევერკუზენი	1	1	0	0	3:0	3
დინამო	0	0	0	0	0:0	0
რომა	0	0	0	0	0:0	0
რეალი	1	0	0	1	0:3	0

REUTERS სტაბროლიდან

ფენერბაჰჩე — სპარტა. ჩეხები პიერ ვან ჰოიდონკმა დაამარცხა

C ჯგუფი

აიაქსი 0:1 იუვენტუსი

0:1 ნედვედი (42)

აიაქსი: სტეკელენბურგი, გრიგერა (ესკუდე 76), ნ. დე იონგი, ჰეიტინგა, მაქსველი, პიენაარი, ობოდაი (ანასტასიუ 72), სნეიდერი (დე მული 67), ვან დერ ვაარტი, მიტია, სონკი

მწვრთნელი: რონალდ კუმანი

იუვენტუსი: ბუფონი, ბირინდელი (პესოტო 65), ტურამი, კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ბლაზი, ემერსონი, ნედვედი (ოლივერა 65), დელ პიერო (აპია 77), იბრაჰიმოვიჩი

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

გაფრთხილება: ნედვედი, ობოდაი, სნეიდერი, პიენაარი

მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

50 000 მაყურებელი

მაკაბი 0:1 ბაიერნი

0:1 მაკაი (64პ)

მაკაბი: შტრაუბერი, პანცილი, ჯოვანინი, სტროოლი, ნაგარი, რეისი (დეგო 83), მიშაელოფი (ზიტონი 61), ტ. კოენი, მესიკა, ლ. კოენი (მბამბა 72), ი. ადო

მწვრთნელი: ნირ კლინგერი

ბაიერნი: კანი, სალიჰამიჯიჩი, ლუსიო, ლინკე, რაუ, ფრინგსი, ჰარგრივსი (გიორლიცი 83), დაისლერი (შვაინსტაიგერი 46), ბალაკი (რობერტ კოვაჩი 90), ზე რობერტო, მაკაი

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

გაფრთხილება: ლუსიო, პანცილი, ზიტონი

მსაჯი: სტივენ ბენეტი (ინგლისი)

22 000 მაყურებელი

ბაიერნი	1	1	0	0	1:0	3
იუვენტუსი	1	1	0	0	1:0	3
აიაქსი	1	0	0	1	0:1	0
მაკაბი	1	0	0	1	0:1	0

D ჯგუფი

ლიონი 2:2 მანჩესტერი

1:0 კრისი (35), 2:0 ფრო (45), 2:1, 2:2 ვან ნისტელროი (55, 61)

ლიონი: კუპე, რეველიერი, კრისი, კასაპა, აბიდალი, ესიენი, ჟუნინიო პერნამბუკანო, ვილტორდი (კლემანი 88), მალუდა, გოვუ (ბენ აფრა 75), ფრო (ნილმარი 65)

მწვრთნელი: პოლ ლე გუენი

მანჩესტერი: ჰოვარდი, ჰაინცე, ბრაუნი, სილვესტრი, ოში (ფ. ნევილი 83), კ. რონალდო, კინი, ჯემბა-ჯემბა, გიგზი, სქოულზი, ვან ნისტელროი (სმიტი 79)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: ჰაინცე, კრისი

მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

40 000 მაყურებელი

ფენერბაჰჩე 1:0 სპარტა

1:0 ვან ჰოიდონკი (16)

ფენერბაჰჩე: რუშთუ, ფაბიო ლუსიანო, სერვეთი, ფაბიანო, დენიზი, უმით ოზატი, სერჰათი (ნობრე 82), მარკო აურელიო, ალექსი (სერქანი 90), თუნჯაი (ონდერი 78), ვან ჰოიდონკი

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

სპარტა: ბლაჟეკი, პერგლი, ჰომოლა, რადოსლავ კოვაჩი, მ. ჩეხი (მედუნა 75), ვორიშეკი, შივოკი, ზელენკა (შიმაკი 46), ურბანეკი, ბარანეკი (იუნი 60), პაჩანდა

მწვრთნელი: ფრანტიშეკ სტრაკა

გაფრთხილება: სერვეთი, სერვეთი, რუშთუ

გაძევება: სერვეთი (73)

მსაჯი: ლუსილიუ კორტეს ბატისტა (პორტუგალია)

45 000 მაყურებელი

ფენერბაჰჩე	1	1	0	0	1:0	3
მანჩესტერი	1	0	1	0	2:2	1
ლიონი	1	0	1	0	2:2	1
სპარტა	1	0	0	1	0:1	0

რეალ-ბა ასეთია: 0:3

რომში მსაჯობა ანუ ფრისკის ფრასი

REUTERS ლევერკუზენიდან

ლევერკუზენი — რეალი. ხოსე ანტონიო კამაჩოს „სამეფო გუნდს" დიმიტარ ბერბატოვმა ბოლო მოუღო

რომელ ერთზე გავამახვილოთ ყურადღება? რომლით დავიწყოთ, იმით, რომ „ელ გალაქტიკომ" ანუ იმავე „სამეფო გუნდმა" ლევერკუზენში სამი უპასუხო გოლი გაუშვა, იმით, რომ „ოლიმპიკოზე" „რომას" ხულიგანმა გულშემატკივარმა პირველი ტაიმის შემდეგ გასახდელისკენ მიმავალ შვედ მსაჯს, ანდერს ფრისკს თავში რაღაც გაარტყა, სისხლი ადინა და მატჩი ჩაშალა, თუ რომელიმე უფრო მშვიდი და უწყინარი ამბავი წამოვწიოთ, მაგალითად ის, რომ „ლიონი" „მანჩესტერ იუნაიტედს" 2:0-ს უგებდა, მაგრამ რუუდ ვან ნისტელროის ორი გოლი გაუშვა და ფრეს დასჯერდა? და ამათ ფონზე ისეთი „უკმურობა", როგორც „დეპორტივოს" და „ოლიმპიაკოსის" უგოლო ფრე, „ლივერპულისგან" გასული გათამაშების ფინალისტის, „მონაკოს" 2:0 ძლევა, „იუვენტუსის" ამსტერდამში, „ბაიერნის" თელ ავივში და „ფენერბაჰჩეს" სტამბოლში, „სპარტასთან" 1:0 მოგებაა, მთქნარებას თუ გამოიწვევს და მეტს არაფერს.

ყველაზე დიდი ტრილერი, ალბათ, მაინც რომში იყო, რადგან ფრისკს თავიდან სისხლი წასკდა, თორემ ზიდანის, ფიგუს, ბექემის, რონალდოს, რობერტო კარლოსის, ოუენის, რაულის (თუ ვინმე გამოგვრჩა თქვენ დაამატეთ) გუნდი 0:3-ს რომ წააგებს, წესით არანაკლები ტრილერი უნდა იყოს თუ... უკვე კომედიის ჟანრში არ არის გადასული.

„რომას" კიეველები 1:0-ს უგებდნენ — გორან გავრანჩიჩის უზადო ჯარიმამ ყოფილი საბჭოელები დააწინაურა და კაცმა რომ თქვას, უეფას „რომას" კარგად დასჯის სრული მორალური ფონიც შეუქმნია. ხოლო, რაც შეეხება იმას, თუ რამ გაასულელა რომაელი ხულიგანი (თუ ასეთებს გასულელებისთვის დამატებითი სტიმული საერთოდ სჭირდებათ), მიზეზი ის იყო, რომ მე-40 წუთზე ფრისკმა მოედნიდან მასპინძელთა მცველი, ფილიპ მექსეში გააგდო. რატომ? ტელეკამერებმა ნათლად დაადასტურეს, რომ მექსეში, უწყინარ ვითარებაში დინამოელ მარის ვერპაკოვსკისს მიუახლოვდა და ფეხი ისე მიარტყა, რომ წააქცია.

და კიდევ ერთი, რისი დამატებაც წუხანდელი თამაშების ამ ნაჩქარევი აღწერისთვის გვინდოდა, ეს გახლავთ: „ამსტერდამ არენაზე" „აიაქსის" წინააღმდეგ თავიდან ბოლომდე ითამაშა სულ ცოტა ხნის წინ თავადვე ამსტერდამელმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა, ხოლო როგორ ითამაშა და საერთოდ, რა ხდებოდა ოთხშაბათს სტადიონებზე, დაწვრილებით ხვალინდელ „სარბიელში" წაიკითხავთ.

პაპუნა კედია

REUTERS ლევერკუზენიდან

სლოვენია

სი მობილ ლიგა გადადებული მატჩი

ოლიმპია 2:1 პრიმორიე

დანია

I დივიზიონი. VII ტური

ფრემადი 4:1 აკადემისკი
დალუმი 6:3 ბრიონსჰიოი
ფრედერისია 1:1 სიონდერიისკე
ფრემი 0:1 კიოგე
ჰელერუპი 3:1 იოლსტიკე
ნესტვედი 0:3 ნიკიობინგი
სკიოლდი 4:0 ბ-93 კოპენჰაგენი
ვაილე 2:3 ჰორსენსი

სერბეთი

პირველ ლიგა გადადებული მატჩი

ოფკ 1:0 ჟელეზნიკი

ინგლისი

ჩემპიონატი. VIII ტური

ქოვენთრი 2:2 ჯილინგემი

შვეიცარია

ჩელენჯლიგა გადადებული მატჩი

ვოლენი 1:1 ვადუცი

გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

VIII ტური

ვერდერი (მ) 4:2 ჰერტა (მ)
დიუსელდორფი 0:2 კიოლნი (მ)

ნორვეგია

I დივიზიონი. XXI ტური

ჰიოდი 5:0 ჰაუგესუნდი
სანდეფიორდი 0:1 სტარტი

შოტლანდია

ლიგის თასის II ეტაპი

კლაიდი 1:2 ფორფარი
როსი 1:1(დ.დ.(პენ.3:1, 1:1) პარტიკი

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XXIV ტური

ტამპერე 1:0 ჰაამენლინა

იტალია

თასის II ეტაპი. I მატჩები

ფიორენტინა 1:1 ბრეშა
ლივორნო 2:1 ლეჩე
მესინა 0:1 სიენა
სალერნიტანა 2:1 პალერმო
ტრიესტინა 1:3 კალიარი
ტერნანა 1:3 ბოლონია

ბავშვები ჭამენ, ქარავანი მიდის

„ვუელტას“ ველოქარავანმა, ეს-ესაა, გზაზე მათ სანახავად გამოსულ ბებუასა და შვილიშვილებს ჩაუქროლა. ბუთხუზელა გოგონებს, ეტყობა, ძალიან არ აინტერესებთ ველომხედართა ამბავი, ალბათ რაიმე გეშრიელს გიახლებიან. ისე, ამბობენ, რომ ამ მხარეებში, ალიკანტეში ღვინოსაც ჩინებულს წურავენო.

REUTERS ალიკანტედან

REUTERS ტორონტოდან

რასაც გვანახებ, შენია

ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ბრიტი კელი ჰოლმსი არ მალავს, „ჩარლტონ ათლეტიკსის“ ფანი ვარო. „საუთ-ჰემპტონთან“ მატჩზე „ჩარლტონის“ ატრიბუტიკით მისულა. ჰო, ის არც თავის ოქროებს მალავს.

REUTERS ლონდონიდან

ზედმეტი არც სიხარული ვარგა

ჰოკეის მსოფლიოს თასის ფინალში კანადამ 3:2 დაამარცხა ფინეთი და დარბაზიდან გარეთ გამოვარდნილი ხალხი ღამის ტორონტოს შეესია. არ გვიკვირს და, პოლიცია მომზადებული დახვდა კანადის ჩემპიონობას, რამდენიმე ზედმეტად გახარებული ფანიც ხელბორკილებით დააცხრო.

REUTERS ბლუმფილდიდან

ელოდება

ეს ჟონგლიორი კაცი, თავადაც მიხვდებით, პროფესიით მეგოლფეა, სახელად კი ტომას ლეგე ჰქვია და ფრანგი გახლავთ. მიჩიგანში, ბლუმფილდში ჩასულს, ჩანს, ვარჯიში მობეზრდა და თავს და ხალხს ართობს. ტურნირი ხომ 17 სექტემბერს იწყება.

REUTERS სიდნეიდან

მედლოვანთა გამოფენა

სიდნეის ქუჩებში გამოფენილან „მშვიდობიანი“ ავსტრალიელები და ოლიმპიურ გმირებს ეგებებიან. ოლიმპიელებს კი სხვა ვინ, თუ არა, იან ტორპი მიუძღვის, კაცი-ტორპედო, ვინაც ათენიდან ორი ოქროს მედალი წამოიღო და შინ ალბათ იმ ადგილას დაკიდებს, სადაც ოთხი წლის წინ სწორედ სიდნეიში მოპოვებული სამი სხვა ოქრო უკიდია. ტორპს მხარს უმშვენებს კიდევ ერთი კაცთევზა მაიკლ კლიმი.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ვიშკარიანი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge